ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 26 აპრილი, 2019 №98 (8052) ფასი: 60 თეთრი

## ინტერპოლით ძებნილი ძმები გლუშკოვები

100.000-იანი გირაოთი გამოუშვეს



გვ.7

გადასცემს თუ არა მათ საქართველო რუსეთს

23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




# „მეშინია, კორცხელი არ განმეორდეს“

ლევან ალაფიშვილი: „19 მაისის არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსის სრული მობილიზება მოხდება“



გვ.3

## მამა გიორგი მამალაძეს შეწყალებაზე უარი უთხრეს



გვ.5

დეკანოზის ოჯახი აქციებს აანონსებს

## „მეტროში, შესაძლოა, სავალალო შედეგებამდე მივიდეთ“



გვ.2

## რა ხდება დავით გარეჯში

არქიმანდრიტი კირიონი: „აზერბაიჯანელები ჩვენს მომლოცველებს მონასტერში ისევ არ უშვებენ“



გვ.2

## საქართველო სოციალური აფეთქების წინაშეა



გვ.4

## ცხინვალი თბილისს ქისტების გენოციდს სდებს ბრალად



გვ.5

**სამართალი** გვ.7



მერაბ კვირიკაშვილი: „მანქანამ მოცურება დაიწყო და ვეღარ დავიმორჩილე. დავინახე, მანქანას ვეჯახებოდი“

მორაგბემ ტრაგედიის მომენტი გაიხსენა



## გორის ანძის თანამშრომელი გარდაცვლილი იპოვეს



## შინდისის გზაზე მანქანა ამოტრიალდა

დაშავდა 5 არასრულწლოვანი

**ეკონომიკა** გვ.6

კახა კალაძე: „ივნისის ბოლოს მეტროს მუშაობა დილისა და საღამოს საათებში, შესაძლოა, თითო საათით შემცირდეს“



## კუს ტბის ადმინისტრაციამ მერიაში განაშენიანების ახალი სამი პროექტი წარადგინა



## ავტობუსში უბილეთო მგზავრებისთვის ჯარიმა ოთხმაგდება



ISSN 1987-9385

**4** „არ ვიცი, რატომ არ მოხვდა ირაკლი ღოკვაძე პოლიტპატიმართა სიაში“

**5** ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტობა ალმას ჯაპუასაც მოუნდა

**3** სააღდგომოდ თბილისის სასაფლაოებისკენ უფასო ავტობუსები იმოძრავებენ

**7** ჩხუბი მეტრო დელისთან

4 პირი დააკავეს

# რა ხდება დავით გარეჯში

## არქიმანდრიტი კირიონი: „აზერბაიჯანელები ჩვენს მომლოცველებს მონასტერში ისევ არ უშვებენ“

დავით გარეჯის მამათა მონასტრის არქიმანდრიტ კირიონის (ონიანი) ცნობით, უკვე სამი დღეა, აზერბაიჯანელებმა უდაბნოს მონასტერი გადაკეტეს და სასულიერო პირებს მონასტერში აღარ უშვებენ. ამის შესახებ არქიმანდრიტმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

– მეზობელი ქვეყნის მესაზღვრეები ბილიკებზე მუშაობენ, გამაფრთხილებელ და ამკრძალავ ნიშნებს არჭობენ, რასაც მშვიდად უყურებენ ქართველი მესაზღვრეები. ისეთივე კრიზისული და უარესი მდგომარეობა იქმნება, როგორც 2012 წლის მაისში, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ქართველ მესაზღვრეებს უბრძანა, ტურისტები არ გაატაროთო. მაშინ ასე ითხოვდნენ აზერბაიჯანელები და ქართულმა მხარემ რატომღაც, ვიდრე ხმაური არ ავტეხეთ, მეზობლის მოთხოვნა დააკმაყოფილა. თუმცა, სასულიერო პირებს მონასტერსა და ტაძრებში ასვლის უფლება ჰქონდათ. დღეს კი, ჩვენც აღარ გვიშვებენ.



საზღვრის ჩაკეტვის მიზეზზე ჩვენი სასაზღვრო სექტორის უფროსი აზერბაიჯანის, ყარაიაზის რეგიონის, დავით გარეჯის მიმდებარე სასაზღვრო სექტორის უფროსს ესაუბრა. აზერბაიჯანელმა თქვა, რომ პრობლემა არ იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება მის ზემდგომებს სიტუაციის შეცვლას მოსთხოვს, დამირეკონ და საზღვარი გაიხსნებაო?! საქმის კურსში ჩავაყენე საქართველოს სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, მეც რომ არ დამერეკა, ჩემ გარეშეც კარგად ეცოდინებათ, რაც ხდება, მაგრამ არაფერი იცვლება.

არადა, რაც ახლა დავით გარეჯის უდაბნოში, შეუთანხმებელი საზღვრის გასწვრივ ხდება, არც საერთაშორისო კანონმდებლობაში ჯდება და არც მეზობლურ- მეგობრულ ურთიერთობაში. ამასთან, გასაკვირია საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან სრული დუმილი, მეტიც, თავჩაღუნულ მდგომარეობაში ყოფნა. გადაწყდა ამ მონაკვეთში საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის საკითხი და ამ ქვეყნის მოქალაქეებმა არაფერი ვიცით? – აცხადებს არქიმანდრიტი კირიონი.

მისივე თქმით, მდგომარეობა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ დაიძაბა.

– სალომე ზურაბიშვილი „ევროპა ნოსტრას“ ფარგლებში, აზერბაიჯანის სახელმწიფოს სამ წარმომადგენელთან ერთად იმყოფებოდა გარეჯის მონასტრებში, დაათვალიერა აქაურობა, ყველაფერი ნორმის ფარგლებში მიდიოდა. ამიტომაც ვერ ვიგებ ყარაეთელი მესაზღვრეების უფროსის განმარტებას, თითქოს უფროსობამ დასჯა დაუპირა იმის გამო, რომ თურმე არ იცოდა,



მონასტერში საქართველოს პრეზიდენტი თუ იმყოფებოდა. ამანაც, კარიერა მენგრევაო, ადგა და საზღვარი ჩაკეტა.

შეიძლება, ასე ყველამ თავზე გადავლა დაგვიპიროს და ჩვენ რეაქცია არ გვქონდეს? მაშინ რაღა სახელმწიფოა საქართველო? მე ვერ გამოვდივარ მონასტრიდან, რომ უშუალოდ მივაკითხო თანამდებობის პირებს და ვკითხო, გულგრილად რატომ უყურებენ იმას, რაც ახლა გარეჯის უდაბნოში ხდება, ამიტომაც, როგორც ყოველთვის, მედიისა და საზოგადოების აქტიურობის იმედი მაქვს, – აღნიშნა არქიმანდრიტმა კირიონმა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, გახსნას პუნქტები, რომლებიც ამ დროისთვის იყო დაკეტილი.

# „მეტროში, შესაძლოა, სავალალო შედეგებამდე მივიდეთ“

იაგო ნაცვლიშვილი



ბოლო პერიოდში თბილისის მეტროპოლიტენში სხვადასხვა ტექნიკური მიზეზით გახშირდა შეფერხებები. 24 აპრილს მეტროსადგურ „გოცირიძეზე“ სადენებს ცეცხლი გაუჩნდა და მეტრომ მუშაობა ცოტა ხნით გააჩერა. ინციდენტის შემდეგ მეტრო ჩვეულ რეჟიმში მუშაობს, მაგრამ გაჩნდა კითხვა, რამდენად უსაფრთხოა მგზავრობა. ეს არ არის მეტროს გაუმართაობის პირველი შემთხვევა. ცოტა ხნის წინ ვნახეთ, რა მდგომარეობა იყო ამავე მეტროსადგურზე გადასასვლელი ხიდის პრობლემების მხრივ.

„შენების მოძრაობის“ წარმომადგენელი **თენგიზ შერგელაშვილი**, რომელიც 2016 წელს თბილისის მერად იყრიდა კენჭს, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დედაქალაქის მერიას პრიორიტეტების განსაზღვრას უწუნებს და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებზე საუბრობს:

***– ვნახეთ, რომ მეტროსადგურ „გოცირიძეზე“ სადენებს ცეცხლი გაუჩნდა. თქვენც მითხარით ინტერვიუში, რომ მეტროთი მგზავრობა არცთუ უსაფრთხოა და ინფრასტრუქტურა რეაბილიტაციას საჭიროებს. ამ პერიოდში დაინახეთ, რომ მერია ამ ხარვეზების გამოსწორებაზე მუშაობს?***

– უპირველეს ყოვლისა, საუბარი იმით უნდა დავიწყოთ, რომ მერიამ მერე კი არ უნდა დაიწყოს რაღაცების შეფასება და მუშაობა, როდესაც ხანძარი გაჩნდება თუ მეტრო გაჩერდება, არამედ იქამდე. ვხედავთ, რომ პრაქტიკულად ყოველ მეორე დღეს შეფერხებაა, განსაკუთრებულად იმატა ამ შეფერხებებმა ბოლო პერიოდში. ამას კი არ უნდა დაელოდოს, არამედ მერიის შესაბამისმა სამსახურებმა უნდა შეაფასონ, რა მდგომარეობაა და ამის მიხედვით უნდა განახორციელონ შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მე რამდენადაც ვიცი, სხვადასხვა ექსპერტის მხრიდან, მათ შორის როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების მხრიდან გაკეთდა შეფასებები და გამოჩნდა ბევრი პრობლემა არა მარტო ელექტრო გაყვანილობასთან დაკავშირებით, არამედ წყლის ამოქაჩვის პრობლემებია და ა.შ. კომუნისტების დროს დაწყებული და დაუმთავრებელი კონსერვაციაა და ა.შ. მეტროში არის ძალიან ბევრი პრობლემა. ამაზე მერიას უნდა ჰქონდეს შესაბამისი შეფასება გაკეთებული. რეაბილიტაციასა და შესაბამის სამუშაოებს გეგმაზომიერად უნდა აკეთებდეს. ისე კი არა, რომ დაველოდოთ, ხანძარი როდის გაჩნდება და მერე გამოვაცხადოთ ტენდერი.

ამიტომ, მე მგონია, რომ ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგებით, ფაქტობრივად, ყოველდღიურად. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში არ მახსოვს, კვირა ისე გასულიყოს, რომ მეტროსთან დაკავშირებულ რაიმე ინციდენტზე ინფორმაცია არ გავრცელდეს. წარმოუდგენელია, რომ ქალაქში ასეთი რამე ხდებოდეს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტრანსპორტთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენი მოქალაქეების ძალიან დიდი ნაწილი გადაჰყავს.

***– ეს ის ფაქტებია, რომლებიც ვრცელდება. ამას გარდა, ისეთი შეფერხებებიც არის ხოლმე, რაც არ ვრცელდება. პირადადაც ვყოფილვარ ამის შემსწრე. ამაზე რას იტყვით?***

– რასაკვირველია, მცირე ინციდენტებიც არის. ამას გარდა, უნდა წარმოვიდგინოთ ისიც, რომ ამ სატრანსპორტო საშუალებით არა მარტო ჩვენი მოქალაქეები მგზავრობენ, არამედ ტურისტებიც, რომლებიც ენობრივი ბარიერის გამო ინფორმაციასაც ვერ იღებენ. მთლიანობაში ეს ძალიან ცუდ ფონს ქმნის.

რასაკვირველია, ეს არის საკმაოდ ძვირადღირებული სარეაბილიტაციო სამუშაოები. მეორე მხრივ, შესაძლოა, პიარის თვალსაზრისით არ იყოს გამართლებული, იმიტომ, რომ სადღაც წყალსაქაჩი ტუმბო როდესაც გამოიცვლება, მისი გაპიარება და ლენტის გაჭრა ვერ მოხდება. ამიტომ ხშირ შემთხვევაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ხოლმე. მაგრამ ამან შეიძლება ძალიან სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. ამიტომ უნდა გაკეთდეს ძირითადი შეფასება, სად არის რისკის მთავარი მომენტები და სამუშაოები ჩატარდეს.

ეს მეტრო აშენებულია 1960-იან წლებში და ძალიან ბევრი რაღაცა ჯერ კიდევ იმ დროინდელია, ამიტომ აუცილებელია შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

***– თქვენი ინფორმაციით, რისკის შეფასება საერთოდ არ კეთდება დედაქალაქის მერიაში?***

– როგორც განცხადებებს ვუყურებთ, რასაკვირველია, რეაგირებას ახდენენ. სარეაბილიტაციო სამუშაოებიც ტარდება, მაგრამ, როგორც ჩანს, სათანადო აღწერები არ კეთდება. მე არ ვიცი, ვაგონების რეაბილიტაციით უნდა დაიწყოს თუ იმ კაბელების გამოცვლით, რომელიც შეცვლას საჭიროებს?! რადგანაც ვაგონები ჩანს, ამაზე აკეთებენ აქცენტს. ხშირ შემთხვევაში პრიორიტეტი არ არის სწორად დასმული. ვხედავთ, რომ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი შეფერხება ხდება.

მით უმეტეს, როდესაც საუბარია მეტროსადგურ „გოცირიძის“ ხიდთან დაკავშირებით. იქ ძალიან სწრაფად არის სამუშაოები ჩასატარებელი.

***– ახსენეთ, რომ ვაგონებით იწყებენ პრობლემების მოგვარებას. ასე გგონიათ, რომ ეს ყველაფერი პიარზეა გათვლილი და ხილული ელემენტებით იწყებენ?***

– მე ვამბობ იმას, რომ მთლიანობაში უნდა იყოს პრობლემების ნუსხა. იმის მიუხედავად, ეს თვალსაჩინოა და ჩანს თუ არა, პრიორიტეტი მისი საფრთხეებიდან და რისკებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს და არა სხვა რაღაცებიდან



გამომდინარე. მგონია, რომ აქცენტი მაინც უფრო იმაზე კეთდება, რაც თვალსაჩინოა. როდესაც პრობლემები იქმნება, შემდეგ უკვე იძულებითი ნაბიჯები იდგმება მის გამოსასწორებლად, რაც სწორად არ მიმაჩნია.

***– მგზავრებს რას ურჩევდით? იმ რისკებიდან გამომდინარე, რომლებზეც საუბრობთ, ხომ არ უნდა მოერიდონ მეტროთი მგზავრობას?***

– არა. არა მგონია, რომ ცალკეული ინციდენტები პანიკის საფუძველი იყოს. მეტროთი მგზავრობას რომ მოერიდონ, ეს არ იქნება სწორი რჩევა. უბრალოდ, შევხედოთ სტატისტიკას. რამდენიმე ასეულობით ათასი გადაადგილება ხდება ყოველდღიურად. ყველა ვერ მოერიდება. 300-400 ათასი მგზავრიდან 100 ათასი მგზავრიც რომ დარჩეს, ეს პრობლემა არ იქნება?! ასეთი მსჯელობა ალოგიკურია. ასეთ მოწოდებას ვერ გავაკეთებ. მაშინ მეტრო საერთოდ უნდა დავკეტოთ. მაგას ხომ ვერ ვიზამთ?!

***– ანუ ამ ეტაპზე ტრაგედიების რისკს ვერ ხედავთ, მაგრამ შესაბამისი სამუშაოები აუცილებელია?***

– ტრანსპორტისა და ასეთ სისტემების შემთხვევაში რისკი ყოველთვის არსებობს, მაგრამ მერიის ფუნქცია ეგ არის, რომ კარგად შეაფასოს ეგ რისკები და ყველაზე მაღალი რისკის ზონებში შესაბამისი სამუშაოები ჩაატაროს.

***– ზოგადად ქალაქის სატრანსპორტო პრობლემებთან დაკავშირებით რას იტყვით? გვესმის მუდმივად საუბარი, მაგრამ ხელშესახები შედეგი არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით ავტოპარკინგისთვის რამდენიმე ავტობუსის დამატებას.***

– რასაკვირველია, აქაც არ ჩანს ერთიანი მიდგომა. მაგალითად, რატომ არ ხდება ისეთი პროექტის შემუშავება, რომელიც უკავშირდება ტრამვაის ხაზს. მაგალითად, არ ჩანს შედეგები სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებით, ანუ ხელშესახები შედეგები არ არის და ჩვენ ჯერ არ ვიცით ცვლილებები. კი, ძალიან მცირე რაოდენობით ჩანაცვლდა ძველი ავტობუსები ახალი ავტობუსებით და რამდენიმე ე.წ. ბას ლაინი გაკეთდა. სხვა ხელშესახები შედეგი, რომელიც საერთო მდგომარეობას გააუმჯობესებდა, არ გვაქვს.

***– ანუ გამოდის, რომ დედაქალაქის მერი რასაც ამ მიმართულებით გვპირდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, არ ასრულებს?***

– მე ვფიქრობ, რომ ის პრობლემები, რომლებიც თბილისში დგას, არ მოგვარებულა და ამ პერიოდში გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა. პრინციპში, მერობის კანდიდატებს ამ პრობლემების მოგვარების დაახლოებით ერთნაირი დაპირებები ჰქონდათ, როგორიც სატრანსპორტო პრობლემები, გარემოს დაბინძურება და ა.შ. ჯერჯერობით ხელშესახებ და კარდინალურ ცვლილებებს მე ვერ ვხედავ.

***– მოლოდინი როგორი გაქვთ ამ მიმართულებით? გაქვთ თუ არა რწმენა, რომ რაღაცა შეიცვლება უკეთესობისკენ?***

– მე ჩემს რწმენაზე ვერ ვისაუბრებ. ჩვენ უნდა დავინახოთ კონკრეტული ნაბიჯები. თუ დავინახავთ კონკრეტულ ნაბიჯებს, მაშინ დავიჯერებთ. თუმცა, მაინცდამაინც იმედიანად ვერ ვიქნებით განწყობილი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ალაფიშვილი: „მეშინია, კორცხელი არ განმეორდეს“

## „19 მაისის არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსის სრული მობილიზება მოხდება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ადგილობრივ არჩევნებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, 19 მაისს დაგეგმილ არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლება იმედიანად არის განწყობილი. პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძე ამბობს, რომ 19 მაისს დაითვლიან წიწილებს. თქვენი მოლოდინი როგორია?***

– ეს არ იქნება მარტივი არჩევნები. სად არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელ რეგიონებში, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საუბარია ყველაზე ცხელ რეგიონებზე. ტრადიციულად, ზუგდიდსა და მარნეულში არჩევნები იყო ძალიან ცხელი, ძალიან დაძაბული. ამიტომ მე გამიჭირდება იმის თქმა, რომ 19 მაისს ჩვენ მშვიდი არჩევნები გვექნება. მე არ გამოვრიცხავ, რომ ძალიან სერიოზული ბრძოლა იყოს.

***– ზუგდიდში სანდრა რულოვსი სერიოზულ კანდიდატად არის მიჩნეული. ხელისუფლება მარტივად დათმობს სამეგრელოს?***

– პირიქით, სულაც არ ვფიქრობ, რომ რომელიმე რეგიონსა და მით უფრო სამეგრელოს ხელისუფლება დათმობს. ყველა არჩევნებზე გადამწყვეტი იყო და არის სახელისუფლებო რესურსი. ეს ასე იყო შევარდნაძის დროსაც, ასე იყო სააკაშვილის პერიოდში და ასეა დღესაც.

„ქართული ოცნება“ შეეცდება სახელისუფლებო რესურსის არნახულ მობილიზებას, რომ მათ კანდიდატს საფრთხე არ შეექმნას. თან კიდევ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ტრადიციულად, შუალედურ არჩევნებში აქტივობა დაბალია, ამიტომ სახელისუფლებო რესურსის მობილიზება შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ჩვენ ხომ ვნახეთ, რა მოხდა საპრეზიდენტო არჩევნებზე?! რეალური არჩევნები იყო პირველი ტური, მეორე ტური უკვე არ იყო რეალური არჩევნები. მეორე ტური სრულად იყო სახელისუფლებო რესურსის მობილიზება, რომლითაც მოიგო არჩევნები ხელისუფლებამ.

მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ეს ვარიანტი განმეორდეს ადგილობრივ არჩევნებზეც. მით უფრო, საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანები, რომლებსაც მართლაც აქვთ დასაკარგი და ყველას ეშინია სამსახურის დაკარგვის, არჩევნებში აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას.

ამომრჩევლის მეორე ნაწილი ძალიან იმედგაცრუებულია და არ გამოვრიცხავ, ეს ნაწილი სახლში დარჩეს. სწორედ ამიტომ იყვნენ განსაკუთრებით რეგიონებში საპრეზიდენტო არჩევნებზე სიებით ხელში საარჩევნო უბნებთან განლაგებული კოორდინატორები. იგივე სქემა იქნება ამოქმედებული. დაითვლიან ყველას, ვინ მივიდა და ვინ დარჩა სახლში. სახლში დარჩენის უფლებას არავის მისცემენ, ყველას მიიყვანენ საარჩევნო უბნებზე.

***– ოპოზიცია ალბათ გულხელდაკრეფილი არ იქნება. შეიძლება, ვითარება დაიძაბოს?***

– მე ამიტომ ვთქვი, რომ არ იქნება მარტივი არჩევნები. ძალიან მეშინია, რომ კორცხელი არ განმეორდეს. ორივე მხარე ცდილობს საკუთარი ძალების სრულ მობილიზებას ამ წინასაარჩევნო პერიოდში. ვხედავთ კუნთების თამაშს. ეს უკვე აშკარად ეტყობა წინასაარჩევნო განწყობებს ზუგდიდსა და მარნეულში, მაგრამ მე არ მინდა, რომ



ეს ძვირად დაუჯდეს ჩვენს ქვეყანას.

თუ მხოლოდ პარტიული ინტერესები იქნება გადამწყვეტი, მაშინ შორს ვერ წავალთ. სახელმწიფოებრივად თუ არ იაზროვნებს პირველ რიგში ხელისუფლება, მას ეს ძალიან ძვირი დაუჯდება.

***– რას გულისხმობთ?***

– საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ყველა საერთაშორისო დასკვნაში როგორ არის მოხსენიებული, ხომ გახსოვთ?! ევროსაბჭოში ჩასულ პრემიერს რა კითხვები დაუსვეს, ესეც ხომ ახსოვს ჩვენს მკითხველს?! კითხვები იყო სწორედ იმ სახელისუფლებო რესურსის მობილიზებასთან დაკავშირებით, რომელმაც გავლენა იქონია განწყობებზე და პირდაპირ არის საუბარი 600 ათასი ადამიანისთვის საარჩევნოდ ვალების ჩამოწერაზე. „ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება სახელმწიფოს იმიჯის შელახვის ხარჯზე გაიფორმა.

***– მთაწმინდის მაჟორიტარულ არჩევნებზე რა მოლოდინები გაქვთ?***

– სიმართლე გითხრათ, მე უფრო დიდ დაპირისპირებას პირველ რიგში ზუგდიდში და შემდეგ მარნეულში ველოდები. მთაწმინდაზე იქნება ბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტი მაინც იქნება რეგიონებში. თუმცა, სახელისუფლებო რესურსი, რასაკვირველია, მთაწმინდაზეც კარგად იმუშავებს.

***– ეს არჩევნები ერთგვარ ტესტად არის შეფასებული. რამდენად იქნება მართლაც ტესტი?***

– ტესტი იქნება პირველ რიგში ხელისუფლებისთვის, თუ რა ტიპის არჩევნების ჩატარებას აპირებს ის უკვე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, სადაც ასეთი მარტივი უკვე აღარ იქნება სახელისუფლებო რესურსის გამოყენება, რომელზეც მან უკვე მიიღო მკაცრი შენიშვნა ჩვენი უცხოელი პარტნიორებისგან.

სახელმწიფო ინტერესებზე უფრო პარტიული ინტერესები იქნება დომინირებული, თუ განმეორდება საპრეზიდენტო არჩევნები, ან კორცხელი, ან მარნეული, მაშინ ჩათვალეთ, რომ ეს უკვე ძვირად დაუჯდება არა რომელიმე ცალკე აღებულ პარტიას, არამედ მთლიანად სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს, თითოეულ ჩვენგანს.

ეს არის საქმე. მე აქ ვხედავ პრობლემას.

# „საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან მიმართებით არსებული საფრთხე კრიტიკულ ნიშნულზე არ არის დასული“



„ქართულ ოცნებაში“ ფიქრობენ, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან მიმართებით არსებული საფრთხე კრიტიკულ ნიშნულზე არ არის დასული.

– ჩვენ, ერთი მხრივ, ვმუშაობთ ჩვენს პარტნიორებთან, რომ მათ შორის კრიმინალთან ერთობლივი ღონისძიებები გავატაროთ. მეორე მხრივ, თქვენ იცით, რომ უკვე ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, რათა ლეგალურად დასაქმების საშუალება მიეცეთ ჩვენს მოქალაქეებს. ვითარება, ვერ ვიტყოდი, რომ კრიტიკულია, მაგრამ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიაზროს, რომ ამ მონაპოვარს გაფრთხილება სჭირდება, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი კანდელაკი კი აცხადებს, რომ ვითარებას ვერაფერი შეცვლის, თუ საქართველოში ხელისუფლება არ შეიცვალა.

– თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდა გამოწვეულია პირველ რიგში იმით, რომ იზრდება გაჭირვება. საქართველოში რომ იყოს ეკონომიკური ზრდა, იმედი, ამდენი ხალხი არ გაიქცეოდა, რაც ხდება დღეს. ერთადერთი გზა იმისა, რომ ქვეყანაში გაჩნდეს იმედი და ეკონომიკური ზრდა არის მთავრობის შეცვლა, სხვა გზა არ არსებობს – ეს არის სიმართლე, – განაცხადა კანდელაკმა.

# „ვინაიდან კანონის უზენაესობა დასუსტებულია, საქართველოდან უფრო მეტი ადამიანი ჩამოდის და თავშესაფარს ითხოვს“

საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაც უნდა გამოსწორდეს, რომ მოსახლეობას ქვეყნის დატოვების სურვილი არ გაუჩნდეს, – ამ შინაარსის განცხადებებით ეხმაურებიან ნატოს შტაბ-ბინაში, ალიანსის საპარლამენტო ასამბლეაზე შეკრებილი დიპლომატები, პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხს.

პოლონეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ამბობს, რომ აუცილებელია საქართველოში შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც სტიმულს მისცემს ევროპაში წასულ ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნდნენ.

– ერთადერთი გზა ევროპაში წასული მოქალაქეების დასაბრუნებლად ქვეყნის განვითარება, მეტი ინვესტიციის მოზიდვა, ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნაა. მხოლოდ ეკონომიკური სტიმული მისცემს ევროპაში ჩამოსულ ქართველებს ბიძგს, სამშობლოში დაბრუნდნენ, – განაცხადა პოლონეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვიტოლდ ვასშიკოვსკიმ.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი ლიეტუვადან ამბობს, რომ ხელისუფლებამ უნდა გააანალიზოს ის მიზეზები, რის გამოც საქართველოს მოქალაქეები იძულებული ხდებიან არალეგალურ მიგრანტებად იქცნენ.




– ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს რა მიზეზით მიდის ხალხი ქვეყნიდან. მოსახლეობას სურს უკეთესად იცხოვროს და ამისთვის ყველა შესაძლებლობას იყენებს. მთავრობამ უკეთ უნდა აუხსნას სხვა ქვეყნებს რეალურად რა ვითარებაა საქართველოში, მართლაც არსებობს პრობლემები, თუ ყალბ ამბებს ავრცელებენ. ხელისუფლებამ უნდა იაქტიუროს და მეტი რამ გააკეთოს, რომ მოქალაქეების ქვეყნიდან წასვლის პროცესი შეჩერდეს, რადგან ეს ნამდვილად არ დაეხმარება საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანდეს, – აცხადებს რასა იუკნიავიჩენე.

„მარტენს ცენტრის“ ექსპერტის აზრით, არალეგალურ მიგრანტთა და თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობის ზრდა ეკონომიკურ სიდუხჭირესთან ერთად, საქართველოში კანონის უზენაესობის დასუსტებამაც გამოიწვია.

– საქართველოში უნდა გაუმჯობესდეს ვითარება. თუ ადამიანებისთვის არ არსებობს პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის საბაბი, მაშინ პრობლემა არც ვიზებია. მაგრამ ვინაიდან კანონის უზენაესობა დასუსტებულია, საქართველოდან უფრო მეტი ადამიანი ჩამოდის და თავშესაფარს ითხოვს. მათი შეჩერება ადვილი არ არის. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ეკონომიკური სიტუაციაც უნდა გამოასწოროს. ამ შემთხვევაში უვიზო მიმოსვლის შესაჩერებლად ევროპა ნაბიჯსაც არ გადადგამს, – განაცხადა რონალდ ფრაუდენშტეინიმ.

რუსთავი 2

# სააღდგომოდ თბილისის სასაფლაოებისკენ უფასო ავტობუსები იმოძრავებენ



დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, 28 და 29 აპრილს, 08:00 საათიდან 20:00 საათამდე, თბილისის სასაფლაოების მიმართულებით უფასო ავტობუსები იმოძრავებენ.

მუხათგვერდისა და ვაშლიჯვრის სასაფლაოების მიმართულებით ავტობუსი მეტროსადგურ „დიდუბიდან“ გავა, კუკია-მახათასკენ – სადგურისა და კოტე მარჯანიშვილის მოედნებიდან, საბურთალოს სასაფლაოსკენ – მეტროსადგურ „დელისიდან“, თბილისის ზღვის სასაფლაოზე კი – მეტრო „სარაჯიშვილიდან“.

ვერის სასაფლაოსკენ მიმავალი ავტობუსი გაჩერდება ბესარიონ ჭიჭინაძის 25-ე კორპუსის მიმდებარედ, ხოლო ვარკეთილის სასაფლაოებისკენ ტრანსპორტი იმოძრავებს მეტროსადგურ „ვარკეთილიდან“ და შუამთის ქუჩაზე, მეათე კვარტლის მე-15 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან.

გარდა ამისა, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 27 აპრილს, მეტროს მუშაობა გახანგრძლივდება და 23:00 საათიდან 28 აპრილის 04:00 საათამდე მგზავრებს უფასოდ მოემსახურება.

# ქვეყანაში ბენზინი 10 თეთრით გაძვირდა



ბენზინზე ფასმა 10 თეთრამდე მოიმატა. ექსპერტები არასაიმედო პროგნოზებს აკეთებენ. სპეციალისტების თქმით, ფასის ზრდის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი გლობალურ ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაზრდილი ფასებია.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, საწვავზე ფასის ზრდის მიზეზი ლარის დევალვაცია არ არის.

– საწვავზე ფასი, საშუალოდ, გაზრდილი არის 7-10 თეთრით. მთავარი ფაქტორი, რის გამოც დღეს ადგილობრივ ბაზარზე დაიწყო ფასების კორექტირება მატების მიმართულებით, ეს გახლავთ სწორედ ის, რომ გლობალურ ბაზრებზე არის ფასები მნიშვნელოვნად გაზრდილი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ლარი დოლართან მიმართებაში არის სტაბილური და რა თქმა უნდა, ეს მიმდინარე ეტაპზე არ არის ფაქტორი. ტენდენცია არ არის დამაიმედებელი. თუ ირანის გარეშემო ვითარების ესკალაცია კიდევ უფრო მეტად გაგრძელდა, რა თქმა უნდა, ეს იქნება განმაპირობებელი, რომ ნავთობის ფასი წავა, – განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა.

საწვავის ღირებულების ზრდის პარალელურად, ეკონომისტი ზვიად ხორგუაშვილი ფასის ზრდას არ გამორიცხავს სხვა პროდუქტებზეც.

– არც ერთი ნაბიჯი არ იდგმება იმისთვის, რომ ბიზნესმა თავისი პროდუქცია გააიაფოს ან უფრო იაფი დაუჯდეს შემოტანა, უფრო იაფი დაუჯდეს აქ წარმოება, ან იაფი დაუჯდეს გაყიდვა. საერთო ჯამში, რა თქმა უნდა, თუ ასე გაგრძელდება და ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა არ გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, როგორიც არის გადასახადების შემცირება, რეგულაციების მოხსნა, საკუთრების დაცულობის გაზრდა, რა თქმა უნდა, არა მარტო კონკრეტულად ბენზინზე და გაზზე, არამედ ფასები გაიზრდება და იზრდება სხვა პროდუქციაზე. ბენზინზე ფასის ზრდა, რა თქმა უნდა, იწვევს ისეთ პროდუქტებზე ფასის ზრდას, როგორიც არის ნებისმიერი პროდუქტი, დაკავშირებული ტრანსპორტირებასთან, – განაცხადა ლევან ხორგუაშვილმა.

# საქართველო სოციალური აფეთქების წინაშეა

## ლია ელიავა: „ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდს ვურჩევ, გადაშალონ წიგნები, მიიღონ ცოდნა და მერე მიიღონ გადაწყვეტილებები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **ლია ელიავა** პასუხობს.

***– ქალბატონო ლია, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას? კეთდება შეფასებები, რომ სიტუაცია საგანგაშოა. კრიზისულ სიტუაციას ხომ არ ელოდებით? შეცვალეს ეკონომიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი გვპირდება, სიღარიბიდან კიდევ კარგა ხანს ვერ ამოვალთო. თქვენ რას გვეტყვით, რა გველოდება?***

– ეკონომიკური პროცესების შეფასება დღეს საქართველოში არის ძალიან ადვილი, ვინაიდან ეკონომიკა მიდის თანდათანობით უკან და ამაზე მეტყველებს ბევრი მაჩვენებელი. ის, რომ იცვლება ეკონომიკური გუნდის მინისტრები, ეს არის დადებითი ტენდენცია, იმედია, ეს პროცესი გაგრძელდება. ვინაიდან არაკვალიფიციური ხელმძღვანელობა ყოველთვის თავის ნეგატიურ კვალს ტოვებს ეკონომიკაზე. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად ვითარდება მხოლოდ და მხოლოდ მომსახურების ხარჯზე და თქვენ იცით, რომ მომსახურება არ ქმნის ქვეყანაში მატერიალურ დოვლათს. შესაბამისად, მომსახურების განვითარება, ისეთი, როგორიც არის: ენერგეტიკა, ტურიზმი, სასტუმროების ბიზნესი, ახლა ძალიან ინტენსიურად ვითარდება სათამაშო ბიზნესი, რაც არის ყოვლად დაუშვებელი ასეთ ღარიბ ქვეყანაში.

***– ეს უფრო აღატაკებს ჩვენს მოსახლეობას და არა ამდიდრებს?***

– რა თქმა უნდა. ეს ყველაფერი არის მოსახლეობიდან ფულის ამოღება. ეს არის ვაჭრობა. ვაჭრობა რა არის? მოსახლეობიდან ფულის ამოღება და საზღვარგარეთ მისი გატანის პროცესი. ჩვენი ქვეყანა მთლიანად ცხოვრობს იმპორტირებულ საქონელზე და აქ ცოტა რამე თუ იწარმოება. რომ არა უცხოეთიდან გარკვეული თანხების შემოდინება, როგორიც არის გადარიცხვები, საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა იქნებოდა ბევრად უფრო მძიმე და ჩვენ უფრო სწრაფად მივიღებდით სოციალურ აფეთქებას. მომსახურება არ ქმნის მატერიალურ დოვლათს ქვეყანაში. შესაბამისად, იგი არ ზრდის მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს.



***– რა იქნება სამომავლოდ?***

– როგორც კვალიფიციური ეკონომისტი, მე თქვენ გეუბნებით, რომ დაახლოებით თუ კიდევ ასეთი ტენდენცია გაგრძელდა ქვეყნის მართვის, კიდევ 20-30 წელი საქართველო ვერ დაძლევს თავის პრობლემებს და ყოველთვის იქნება მოწინავე ქვეყნების კუდში მოჩანჩალე ქვეყანა. ვერასდროს ვერ მიაღწევს თუნდაც იმ დონეს, რა დონეზეც დღეს არის ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი, ან შუა აზიის ქვეყნები, რომლებზეც დღეს ზედმეტად ქილიკობენ, არადა, იქ ცხოვრების დონე ბევრად მაღალია, ვიდრე საქართველოში. თუნდაც იგივე ბელორუსიის დონეს რომ მივაღწიოთ, ამას დასჭირდება არანაკლებ 20 წელიწადი, თუ ასე გაგრძელდა ქვეყნის მართვა.

***– თუ ასე არ გაგრძელდა? რა რჩევები გაქვთ თქვენ ქვეყნის ხელმძღვანელი პირების მიმართ? პირველ რიგში რა უნდა გაკეთდეს?***

– რჩევა შეიძლება მისცე ადამიანს, რომელსაც გააჩნია განათლება, ცოდნა და ვთქვათ, ნაკლები გამოცდილება აქვს. ამ შემთხვევაში ერთადერთი რჩევა, რაც შეიძლება მივცე ეკონომიკურ გუნდს, გადაშალონ წიგნები, წაიკითხონ, მიიღონ ცოდნა და მიიღონ შესაბამისად სწორი გადაწყვეტილებები. ან ვთქვათ, თუ არ შეუძლიათ ამის გაკეთება, ეყოთ იმის ვაჟკაცობა გადადგნენ თავიანთი თანამდებობიდან და დაუთმონ ის უფრო კვალიფიციურ ეკონომისტებს, რომლებიც საქართველოში ნამდვილად არიან.

***– იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს არ გვყავს კარგი, გამოცდილი კადრები, თუ გვყავს, მაშინ რატომ არ იწვევენ ხელისუფლებაში?***

– საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანი რაც უფრო უცოდინარია და თავის პროფესიაში არის სუსტი, ის არის ადვილი სამართავი. სწორედ ასეთი ადამიანები აწყობს ხელისუფლებაში მავანსა და მავანს, რომ უბრძანონ და გააკეთებინონ ის, რაც მათი სურვილია და რაც ქვეყანას არ წაადგება. მარტო ის გამონათქვამი რად ღირს პრემიერ-მინისტრის, რომ ფოთს აკლია კაზინოები! ანუ ჩვენს მთავრობას წარმოდგენა არა აქვს, რა სჭირდება ქვეყანას და რა სჭირდება ქვეყნის ეკონომიკას.

***– რა სჭირდება?***

– სიტუაციის გარდატეხა შესაძლებელია მხოლოდ კვალიფიციური და არა ერთგული კადრების ჩანაცვლებით, ანუ ქვეყნისთვის საჭიროა ისეთი მინისტრები, ისეთი ეკონომიკური გუნდი, იცით, მარტო ერთი მინისტრი ვერაფერს გააკეთებს, თუ მას მხარში არ ამოუდგნენ სხვა პროფილის მინისტრები და ერთიანად სწორი გადაწყვეტილება არ მიიღეს. დააკვირდით, რა ხდება, ერთიმეორეს მიყოლებით უშვებენ შეცდომებს. მთავრობის მიერ გადადგმული არც ერთი ნაბიჯი არ აღმოჩნდა ეფექტიანი და დადებითი შედეგის მომტანი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მათ არ შეუძლიათ სწორი გადაწყვეტილებების მიღება. და რას ნიშნავს სწორი გადაწყვეტილება? როდესაც შენ დათვლილი გაქვს, რას მოიტანს ესა თუ ის ნაბიჯი ხვალ, ზეგ და მაზეგ, რა შედეგი დადგება. აი, ამის პროგნოზირების უნარი არ გააჩნია, სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას და, შესაბამისად, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ან არაფრის მაქნისი არ არის, ან დამაზიანებელია მოსახლეობის.

***– უმძიმეს დღეშია ჩვენი მოსახლეობა, სერიოზულად უჭირს ეკონომიკურად. გაზრდილია ფასები, საწვავი გაძვირდა, ლარის კურსი გაუფასურდა, პროდუქტებზე კატასტროფული მატებაა ფასების. საით მივყავართ ამ ყველაფერს? ერთ დღესაც ხომ არ იფეთქებს ეს ყველაფერი?***

– ქვეყანა წალეკა პოლიტიკურმა პრობლემებმა და მასმედიაც ძირითადად არის დაკავებული პოლიტიკური პრობლემების გარჩევით. ეკონომიკა, ფაქტობრივად, საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა. არადა, ეკონომიკა არის ბაზისი, რომელზეც მერე აიგება პოლიტიკა და სხვა სახის აქტივობები ქვეყანაში. შესაბამისად, ყურადღების მიღმა დარჩენილი პრობლემა არის მიჩუმათებული პრობლემა. ამ პრობლემის გააზრება ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ არ არის ადეკვატური. პარლამენტს მიაჩნია, რომ ყველაზე მთავარია პოლიტიკური პრობლემების დავარცხნა, ეკონომიკას რა მოუვა, ეს უკვე მეორეხარისხოვან ამოცანად აქვთ მიჩნეული. ეს არის პრინციპულად არასწორი. ამ სიტუაციის გარდატეხა, არ ვიცი, როგორ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ფაქტი ერთია, მოსახლეობა არის ღარიბი, მოსახლეობას ძალიან სერიოზულად უჭირს მატერიალურად. ყველაზე მეტი კატასტროფა, იცით, რაში მდგომარეობს?!

***– რაში მდგომარეობს?***

– იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა კლებულობს. ბუნებრივი მატება საქართველოში არ არის. არის რეგიონები, სადაც მოსახლეობის კლება არის ძალიან სერიოზული. თბილისისა და აჭარის გარდა, ფაქტობრივად, ყველა რეგიონში არის ბუნებრივი კლება მოსახლეობის. ეს არის კატასტროფული სიტუაცია. მე არ ვსაუბრობ მოსახლეობის გადინებაზე. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. ეს არის სიტუაცია, როცა სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას. ეს იმისი აშკარა მაჩვენებელია, რომ ქვეყნის ეკონომიკა არის ძალიან მძიმედ, მოსახლეობა არის გაუსაძლისად. ჩვენს ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობა ძალიან არის შემცირებული, 60-დან 65 წლამდე. ძირითადად იხოცებიან შრომისუნარიანი ასაკის მქონე მამაკაცები, ანუ ფაქტობრივად წყდება ერი და ეს არის სწორედ ეკონომიკური სიდუხჭირის შედეგი. ეს არის კატასტროფული სიტუაცია და, სამწუხაროდ, მთავრობა ამ პრობლემებზე არ საუბრობს. ამ სიტუაციის გარდატეხა დღევანდელი ეკონომიკური გუნდის მეშვეობით არარეალურად მიმაჩნია.

# „არ ვიცი, რატომ არ მოხვდა ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმართა სიაში“

## საპროტესტო აქცია პარლამენტთან

გულიკო ბალაძე

25 აპრილს მთავრობის კანცელარიასთან საპროტესტო აქცია გაიმართა პატიმარ ირაკლი დოკვაძის მხარდასაჭერად. აქციის მონაწილეებმა ირაკლი დოკვაძის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება მოითხოვეს, შემდეგ კი პარლამენტის წინ გადმოინაცვლეს საპროტესტო აქციის გასაგრძელებლად.

„ახალი თაობა“ ამ საკითხზე უფლებადამცველ **გიორგი თევზაძეს** ესაუბრა.

***– ბატონო გიორგი, 25 აპრილს 10 წელი გავიდა დოკვაძის დაპატიმრებიდან და ის დღესაც აცხადებს, რომ უდანაშაულოა. რატომ ვერ ხერხდება მისი საქმის გადასინჯვა და სიმართლის დადგენა?***

– მიგვაჩნია, რომ ის არის უკანონო პატიმარი, პოლიტპატიმარი. მისმა ადვოკატმა, ბატონმა ვლადიმერ ტაბაღუამ აღნიშნა, რომ ირაკლი დოკვაძის საქმეში არის ძალიან ბევრი პროცესუალური დარღვევა, არ არის საკმარისი მტკიცებულებები, დასაბუთებული მტკიცებულებები და, საერთოდ, ეს საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი.

ჯერ კიდევ წინა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა შეისწავლა ირაკლი დოკვაძის საქმე (კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია იყო), დასკვნა დადო და საქმის ხელახალი შესწავლისა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირებისთვის მთავარ პროკურატურას მიმართა.

***– რატომ არ შეისწავლა პროკურატურამ საქმე და არ მისცა მსვლელობა?***



– სამწუხაროდ, დღემდე პროკურატურას საქმე არ შეუსწავლია, პროკურატურას უნდა ვკითხოთ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დასკვნას შესაბამისი რეაგირება რატომ არ მოჰყვა. თუ მოჰყვა და ჩვენ არ ვიცით, სხვა საკითხია. მით უმეტეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნაა.

***– წინა რეჟიმის დროს სამართალწარმოების საკითხებში დაშვებული შეცდომებისა თუ გადაცდომების გამო პროკურატურაში შექმნილი დეპარტამენტი დღემდე ვერ ახერხებს იმ საქმეების გამოძიებას, რომლებზეც მიმართეს დაზარალებულმა მოქალაქეებმა. ისევ ძველი კადრები ჰყავთ და ამიტომ ფერხდება თუ სხვა მიზეზია?***

– იქ არის პოლიტპატიმრების საქმეები, წინა ხელისუფლების დროს დაზარალებულების საქმეები. პროკურატურამ ვერ მოახერხა, რომ დოკვაძის საქმე შეესწავლა და დასკვნა სასამართლოში გადაეგზავნა. მას შემდეგ მეორე არჩევნები ჩატარდა, მაგრამ ჩვენ შედეგი ვერ მივიღეთ.



***– სანამ პარლამენტის კომიტეტი შეისწავლიდა, დოკვაძის საქმე საზოგადოებრივმა კომისიამ შეისწავლა და დოკვაძე პოლიტპატიმრად აღიარა. იმ კომისიაში შედიოდა ეკა ბესელიაც. შემდეგ რატომ არ ჩასვეს პოლიტპატიმრების სიაში, მით უმეტეს, იმ საზოგადოებრივი კომისიის წევრი ეკა ბესელია უკვე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იყო?***

– რატომ ვერ მოხვდა ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმრების სიაში, ვინ არ მოახვედრა, ამას მე ვერ გეტყვით. მე ეს არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ირაკლი დოკვაძე ვერ მოხვდა პარლამენტის მიერ შედგენილ პოლიტპატიმრების სიაში. თუ ვინმეს ეკუთვნოდა პოლიტპატიმრის სტატუსი, ირაკლი დოკვაძე ერთ-ერთი მათგანია.

***– 10 წელი გავიდა, რაც ირაკლი დოკვაძე პატიმრობაშია. შეწყალებაზე ის უარს ამბობს.***

– შეწყალებაზე ირაკლი დოკვაძე განცხადებას არ დაწერს. მას მიაჩნია, რომ ის არის მართალი. საქმე ბურუსითაა მოცული, საქმეში ბევრი კითხვის ნიშანია. სასამართლო პროცესზე მეორე დაზარალებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ ირაკლი დოკვაძეს ელზა გულიაშვილისთვის არ დაურტყამს.

ასევე ირაკლი დოკვაძისთვის ამ საქმეზე განაჩენის გამოტანისას არ გაითვალისწინეს ის, რომ წინა საქმეზე ის უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ იყო რეაბილიტირებული, რაზეც კომპენსაციაც გადაუხადეს.

***– ანუ ირაკლი დოკვაძეს ძველი საქმის გამოც (რაზეც რეაბილიტირებული იყო) დაუმძიმეს სასჯელი და, საერთო ჯამში, 30 წელი მიუსაჯეს.***

– დიახ, სასამართლომ არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება და წინა საქმე (რომელზეც რეაბილიტირებული იყო) ნასამართლობად ჩაუთვალა, რაც მის მიმართ კონსტიტუციური უფლებების დარღვევასაც ნიშნავს. მის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლებაც.

***– როგორ შეიძლება, მოევლოს ამ საქმეს?***

– ობიექტურმა გამოძიებამ უნდა შეისწავლოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, ფაქტობრივი გარემოებები. მიუკერძოებელი გამოძიების შემთხვევაში, საქმე, ახალი გარემოებების გამო, სასამართლოში უნდა გადააგზავნოს.

***– როგორც უფლებადამცველი, რას იტყვით, დღეს საქართველოს ციხეებში როგორი ვითარებაა?***

– დღევანდელი მდგომარეობა ციხეებში აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია. შედარება არ შეიძლება იმის, რაც იყო 2012 წლამდე ციხეებში და რაც არის 2012 წლის შემდეგ.

***– არა მოგდით წერილები, გვიშველეთ, დაგვეხმარეთო?***

– არა, ამგვარი წერილები აღარ მოგვდის. წერილები მოგვდის უფრო განაჩენებთან და სასამართლოსთან დაკავშირებით, რომ რაღაც არ შეისწავლეს, რომ გამოძიება ჩატარდა პროცესუალური ნორმების დარღვევით, მაგრამ იმის მსგავსი არაფერია. რა ინფორმაციაც მაშინ მოდიოდა ციხეებიდან, რა ინფორმაციასაც ჩვენ მაშინ ვფლობდით, რასაც პატიმრებიც გვიყვებოდნენ, ვასაჯაროებდით. თუმცა, ზოგიერთ ჟურნალისტს ეგონა, ვამეტებდით და მაშინ არსებულ ვითარებას მუქ ფერებში ვხატავდით.

2012 წელს, როდესაც ყველაფერი გამოაშკარავდა, გამოჩნდა, რომ ჩვენ არაფერს ვამუქებდით.

# მამა გიორგი მამალაძეს შეწყალებაზე უარი უთხრეს

## დეკანოზის ოჯახი აქციებს აანონსებს

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმეკვირიანი შესვენების შემდეგ ციანიდის საქმე კვლავ აქტუალური გახდება. დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის წევრები სერიოზული აქციების გამართვის პირობას დებენ.

ისინი ამ გადაწყვეტილებამდე გუშინ, 25 აპრილს მივიდნენ. ამ დღეს გახდა ცნობილი იმ პატიმრების ვინაობა, რომლებიც პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სააღდგომოდ შეიწყალა.



შეწყალებულთა შორის არ აღმოჩნდა დეკანოზი გიორგი მამალაძე. არადა, ოჯახს იმედი მისცეს, რომ მამა გიორგის სააღდგომოდ შეიწყალებდნენ.

ეს იმედი მამა გიორგის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ გააჩინა. რამდენიმე თვის წინ დეკანოზს ინსულტი განუვითარდა.

მიუხედავად იმისა, რომ მძიმედ იყო ავად, ის მალევე დააბრუნეს ციხის საავადმყოფოში, სადაც, ოჯახის განცხადებით, დეკანოზს სათანადო მკურნალობა არ უტარდება.

მამა გიორგის ძმა თორნიკე მამალაძე ამბობს, რომ დეკანოზი დღემდე პარალიზებულია და კიდურებს ვერ ამოძრავებს.

თორნიკე მამალაძემ ძმის გათავისუფლების მოთხოვნით აქციაც დაიწყო. მას საპატრიარქოსთან ჰქონდა კარავი გაშლილი.



მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ დეკანოზი შეწყალებულთა სიაში ვერ მოხვდა, მამა გიორგის ოჯახი კიდევ რამდენიმე ადგილზე აპირებს კარვების გაშლას.

– მე და ჩემი ოჯახი იმედგაცრუებული ვართ იმით, რომ დღეს პრეზიდენტის მიერ შეწყალებულთა შორის არ აღმოჩნდა მამა გიორგი. უნდა განვმარტო, რომ მთელი დიდმარხვის პერიოდში მე ვიმყოფებოდი კარავში და ჩემი სიჩუმის მიზეზი იყო ჩემი ძმის თხოვნა, რომ მარხვა სიმშვიდეში გამეტარებინა და საპატრიარქოსთვისაც მიმეცა საშუალება, ღელვის გარეშე შეხვედროდნენ აღდგომას.

გუშინ, 25 აპრილს, სამების ტაძარში ჩატარდა დიდი ხუთშაბათის ფეხბანვის ცერემონიალი, რაც ქრისტიანული თავმდაბლობისა და ზრუნვის სიმბოლოა. თუმცა, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ საპატრიარქოს მხრიდან ამ ცერემონიალის ჩატარება არის დიდი ფარისევლობა, ვინაიდან ამ ადამიანებში ქრისტიანული მზრუნველობის მისხალიც კი არ არსებობს. მამა გიორგი დღეს ციხეშია, ის საწოლს არის მიჯაჭვული და კიდურები პარალიზებული აქვს.

მას არ უტარდება შესაბამისი მკურნალობა და დღითიდღე უახლოვდება სიკვდილს. მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქოს ყველა საშუალება ჰქონდა, შესწეოდა საკუთარ მღვდელს, რათა პრეზიდენტის შეწყალების აქტი მასაც შეხებოდა და სამუდამოდ დასნეულებული მღვდელი აღდგომას სახლში სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად შეხვედროდა, მათ არც კი გაახსენდათ უძლურებაში მყოფი სასულიერო პირი. რაც შეეხება ჩემს გეგმებს, აღდგომის შემდეგ გაათმაგებული ენერგიით გავაგრძელებ პროტესტის გამოხატვას. უფრო მრავალრიცხოვანი აქციები იქნება და, რაც მთავარია, კარვებს ჩემი ოჯახის წევრები კიდევ სხვა ადგილებშიც გაშლიან, – აცხადებს თორნიკე მამალაძე.

# ცხინვალი თბილისს ქისტების გენოციდს სდებს ბრალად

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლების გაუაზრებელმა ქმედებებმა რუსი ოკუპანტების საყმოს ცხინვალში სალაპარაკო გაუჩინა. პანკისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ოსური დიპლომატიის მამამ დიმიტრი მედოევმა ისტერიკები მოაწყო.

მან საქართველოს ხელისუფლება ლამის ქისტების გენოციდში დაადანაშაულა და 21 აპრილს განვითარებული მოვლენები გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს შეადარა.

მისი თქმით, საქართველოს ყველა ხელისუფლება ნაციონალისტური განწყობისაა და ისინი ასეთი ლოზუნგით მოქმედებენ – საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის.

არადა, ჩვენს ხელისუფლებებს ყველაფერი შეიძლება დააბრალო, ამის გარდა. ამ მხრივ განსაკუთრებით კომუნისტები იყვნენ უცოდველნი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტალინმა ოსებს შუაგულ ქართლში ავტონომიური ოლქი შეუქმნა, რომელიც შემდეგ რუსეთმა წაგვართვა და ახლა მას სამხრეთ ოსეთი ჰქვია.

მედოევს ამის გახსენება არ სურს, სამაგიეროდ, იხსენებს იმ წლებს, როცა საქართველოდან მასობრივად მიდიოდნენ ეთნიკური ოსები.

– საქართველოს ყველა ხელისუფლება განმსჭვალული იყო ასე, რომ საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის უნდა ყოფილიყო. ქართველი ნეონაცისტების გააქტიურების შედეგი იყო ის, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოდან ათასობით ეთნიკური ოსი გაიქცა, – ამბობს ოსური დიპლომატიის მამა.



ის არაფერს ამბობს იმაზე, რომ ოსები კი არ გარბოდნენ, არამედ ვლადიკავკაზში მცხოვრებ ქართველებს ბინებს უცვლიდნენ.

აი, ქართველები კი მართლა გამოყარეს თავიანთი სახლებიდან. ქართველთა ნასახლარებზე ახლა ნაგავსაყრელის მოწყობას აპირებენ, სადაც ცხინვალში დაყრილ ნაგავს დაყრიან.

პანკისზე საუბრისას მედოევს აღმოსავლეთ ოსეთის თემაზე კიდევ ერთხელ მოუარა მუცლის გვრემამ. აღმოსავლეთ ოსეთს ოსები ყაზბეგისა და დუშეთის ნაწილს უწოდებენ.

ეს ტერმინი ოსებმა ცოტა ხნის წინ შემოიღეს. ოსური დიპლომატიის მამის თქმით, ადრე თუ გვიან, ცხინვალი აღმოსავლეთ ოსეთს დაიბრუნებს.

რაც შეეხება პანკისში განვითარებულ მოვლენებს, მედოევი ამბობს, რომ ის, რაც მოხდა, ქართველების ნაცისტობის მორიგი გამოვლინებაა.

პირველი დიპლომატის თქმით, თურმე პანკისის მკვიდრი მოსახლეობა, ქისტები, ქართველებისგან როგორც ბუნებას, ასევე საკუთარ თავს იცავდნენ.

ოსური დიპლომატიის მამას, წესით, კარგად უნდა ესმოდეს, რომ ქისტები პანკისის მკვიდრი მოსახლეობა არ არიან. ისინი აქ რამდენიმე საუკუნის წინ ჩამოსახლდნენ. ამას თავადაც აღიარებენ და არასდროს უფიქრიათ, ქართული მიწაზე ეთქვათ, რომ ეს მათი მიწაა.

ის, რაც პანკისში მოხდა, ძალიან ცუდია, მაგრამ ოსებს ამაზე ხმის ამოღების უფლება არა აქვთ. საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ 21 აპრილს მომხდარი ინციდენტი ქართველებსა და ჩეჩნებ-ინგუშებს შორის დაპირისპირების მიზეზი არ გახდეს.

ისე, ვის-ვის და ოსებს ქისტების ბედზე ხმის ამოღების უფლება არა აქვთ. კარგი იქნება, თუ ჩვენი უსაქმური ხელისუფლება ცხინვალს 1992 წლის ნოემბერში ვლადიკავკაზში განვითარებულ მოვლენებს გაახსენებს. მაშინ ოსებმა ინგუშებს ნამდვილი გენოციდი მოუწყვეს და მათი კუთვნილი მიწებიდან გაყარეს.

# ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტობა ალმას ჯაპუასაც მოუნდა

## „აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარი გაველურებულია“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში საპრეზიდენტო კანდიდატების ოფიციალურად წარდგენა 22 მაისიდან დაიწყება, თუმცა პრეტენდენტების დასახელება გრძელდება. საზოგადოებრივმა გაერთიანება „საერთო საქმემ“ თავის რჩეულად საპრეზიდენტო არჩევნებისათვის დეპუტატი ალმას ჯაპუა გამოაცხადა.

ალმას ჯაპუას, ისევე, როგორც ასტამურ თარბას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფები აყენებენ.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ დე ფაქტო არჩევნებში ასევე მოსალოდნელია საოკუპაციო რეჟიმის მოქმედი ლიდერის, რაულ ხაჯიმბასა და აქტიური ოპოზიციონერი დეპუტატის, ასლან ბჟანიას ჩართვა.



მოსკოვის საავადმყოფოში მყოფი ასლან ბჟანიას მომხრეებს იმედი აქვთ, რომ მათი ლიდერი მალე დაუბრუნდება პოლიტიკურ ცხოვრებას.

ასლან ბჟანია რამდენიმე წელია, აცნობს საზოგადოებას თავის პროგრამულ შეხედულებებს. იგი თითქმის ყველა სფეროში ძირეული რეფორმების მომხრეა. ბოლო დროს მთავრობის ოპტიმიზაციაზე, კორუფციასთან ბრძოლაზე, ასევე ანქვაბის ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებებით თავი გამოიჩინა ასლამ ჯაპუამ.

დასახელებულ და პოტენციურ კანდიდატებში საიმედო ლიდერს ვერ ხედავს სოხუმელი ანალიტიკოსი ნადეჟდა ვენედიქტოვა. მისი აზრით, აფხაზეთის პოლიტელიტის არც ერთ წარმომადგენელს არ გამოუჩენია შორსმჭვრეტელობა, არ გაუაზრებია დღის წესრიგის სირთულე და არ შემოუთავაზებია კრიზისიდან გამოსვლის ზომები.

– აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარი ამოვარდნილია საწარმოო ციკლიდან და ველურდება. მის რეკულტივაციას კაპიტალდაბანდება სჭირდება. აფხაზეთის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ასათვისებლად აუცილებელია ფინანსები და მუშახელი.

აფხაზეთმა ბევრი დრო დაკარგა იმის გამო, რომ მისგან საქართველოში დაბრუნებას მოითხოვდნენ. ამან მოახდინა აფხაზი საზოგადოების დეზორიენტაცია და საკუთარი გეზიდან გადახვევა. ამ პერიოდში მოხდა კანონიერების დაკნინება. ადამიანები თავს ირჩენდნენ კლანებისა და ნათესავების დახმარებით. კანონიერების არარსებობამ და უსაფრთხოების დაუცველობამ შეაფერხა ინვესტორების შემოსვლა და რეპატრიანტების დაბრუნება ახლო აღმოსავლეთიდან. დაბრუნებულმა რეპატრიანტებმა ვერ მოახდინეს ადაპტირება, – ასკვნის ვენედიქტოვა.

აფხაზეთში ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ფსოუზე არსებული ბარიერების გამო, რაც აფერხებს აფხაზური პროდუქციის გატანას რუსეთში.

საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე არსებულ პრობლემებს ვენედიქტოვაც აღიარებს. მისი თქმით, ფსოუზე შექმნილია ადმინისტრაციული დაბრკოლებები. აფხაზური ნედლეულის თვითღირებულებას ზრდის თანამედროვე ტექნოლოგიების უქონლობა. მაგალითად, რუსეთში აფხაზური მანდარინი მაროკოს მანდარინზე ძვირია.

ისაუბრებენ თუ არა ამ საკითხებზე საპრეზიდენტო კანდიდატები, უცნობია.

დე ფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბასთვის ბოლო დროს მთავარი თემა ნაგავი გახდა. იგი სოხუმის მაიაკის დასახლების მოსახლეობას იქაური ნაგავსაყრელის გადატანას დაჰპირდა. ნოემბერში სხვაგან დამთავრდება ნაგვის პოლიგონის აშენება.

სოხუმელებმა აქციები არც ამ დაპირების შემდეგ შეწყვიტეს. ამის შედეგად, ნარჩენების გადასაყრელად ყველა მხრივ დაჩაგრული გალის რაიონი შეირჩა.

თემა ამით არ ამოწურულა. აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატა მიმართავს ხაჯიმბას, ძირეულად მოაგვაროს საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის საკითხი აფხაზეთში. ამისთვის პალატას აუცილებლად მიაჩნია ნარჩენების მართვის ეროვნული პროექტის შემუშავება; სანიტარიული ნორმების დაცვით, სოხუმის მაგივრად, ნარჩენების აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში გატანა; ასევე ხანგრძლივი მონიტორინგის ორგანიზება სოხუმის ყოფილ და სხვა ნაგავსაყრელებზე.

ხაჯიმბას ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აფხაზეთში ნაგვის მცირე მოცულობის გამო ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა ვერ აშენდება, საზოგადოებრივი პალატის ზოგიერთ წევრს კი დაებადა აფხაზეთიდან ნარჩენების რუსეთში გატანა-გადამუშავების იდეა.

# მონღოლეთში ქართული სახლის გახსნა იგეგმება

უკვე ერთი წელია, საქართველო მონღოლეთთან სავაჭრო ურთიერთობითა და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესდა.

როგორია ორ ქვეყანას შორის ბიზნესეკონომიკური ურთიერთობის პოტენციალი და რა მიმართულებითაა შესაძლებელი ამ კონტაქტების განვითარება? „კომერსანტი“ ამ თემებზე მონღოლეთში სავაჭრო სამრეწველო პალატის ოფიციალურ წარმომადგენელს **კახა სულხანიშვილს** ესაუბრა, რომელიც ასევე მონღოლური კომპანიის დამფუძნებელია და ფლობს ლიცენზიას წვრილფეხა საქონლის ექსპორტზე.



***– ბატონო კახა, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მონღოლეთის ბაზარი არც ისე კარგადაა ცნობილი ქართველი მეწარმეებისთვის. როგორ ფიქრობთ, გახდება თუ არა ეს ქვეყანა საქართველოს აქტიური ბიზნესეკონომიკური პარტნიორი და რა პოტენციალი აქვს ორ ქვეყანას ამ მიმართულებით?***

– მონღოლეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალი ძალიან დიდია, იმიტომ რომ ეს ქვეყანა დიდ ტერიტორიასაც მოიცავს და ძალიან მდიდარია წიაღისეულითაც. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ყველა მხრივ შეგვიძლია თანამშრომლობა.

მათ საქართველოდან ძირითადად აინტერესებთ ალკოჰოლური სასმელები, ღვინო, კონიაკი და არაყი, ასევე ლიმონათი, ხილი და მინერალური წყლები. ანუ ჩვენ მათთვის მიმზიდველი ქვეყანა ვართ, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების კუთხით ასევე წარმოებული ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელებით.

***– როგორია სავაჭრო სამრეწველო პალატის როლი ამ ურთიერთობაში?***

– სამწუხაროა, რომ მონღოლეთში საქართველოს პოტენციალს ცუდად იცნობენ, პირველ რიგში გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო. მე პირადად ერთი წელია რაც ამ ქვეყანაში სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენელი გახლავართ და ეტაპობრივად დადებითი ურთიერთობა გვიყალიბდება. ჩვენ ვცდილობთ, დავაინტერესოთ ეს ქვეყანა ქართული პროდუქციით. ახლა ვგეგმავთ, მონღოლეთში გავხსნათ ქართული სახლი, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართული პროდუქცია, იქნება ეს სასმელები და ქართული კვების პროდუქტები და ხილი. იქაურები ძალიან დიდ პატივს სცემენ სუფრის ტრადიციას და გვინდა ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ.

***– საბოლოოდ როგორ აისახა მონღოლეთთან სავაჭრო პალატის ერთწლიანი ურთიერთობა კონკრეტულად ქართველ მეწარმეებზე?***

– ჩვენ ხელს ვუწყობთ ქართველ მეწარმეებს, კონტაქტები დაამყარონ სამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო ბიზნესმენებთან. ეს არის ჩვენი სავაჭრო პალატის მიზანი. ქართველი მეწარმეებიც ძალიან ცუდად იცნობენ ამ ქვეყანას. მათ მონღოლეთი ვერ წარმოუდგენიათ ბიზნესისთვის მომგებიან ქვეყნად, თუმცა ამ სახელმწიფოს ოქროც ბევრი აქვს, სპილენძიც, ნახშირის წარმოებით კი მეორე ადგილზე არიან.

მონღოლეთში ქართველებს, როგორც მოძმე ხალხს, ისე გვიყურებენ და ჩვენთვის ადვილია იქ ბიზნესის აწყობა.

***– რა პროდუქტებია პრიორიტეტული მონღოლეთ-საქართველოს იმპორტ-ექსპორტში?***

– ექსპორტზე ძირითადად საქართველოდან გადის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, ხილი და ბოსტნეული.

რაც შეეხება იმპორტს, საქართველო მომავალში შეიძლება დაინტერესდეს წიაღისეულით, მონღოლეთში მოიპოვება იშვიათი მეტალები და პლუს ამას ცხვარი და საქონელი. წიაღისეულის იმპორტი ამ ეტაპზე სხვა ქვეყნებში ხორციელდება და, ვფიქრობთ, საქართველოც გავააქტიუროთ ამ მიმართულებით, ამასთან საქონელიც ჰყავთ დიდი რაოდენობით. მომავალში ვგეგმავთ ცოცხალი ცხვარი გავიყვანოთ ექსპორტზე და უფრო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას ვფიქრობთ.

***– როგორია ტურიზმის კუთხით საქართველოსა და მონღოლეთის ურთიერთობის პოტენციალი?***

– ჯერჯერობით დაინტერესებას ვხედავ ორივე მხრიდან. უბრალოდ, სამწუხაროა, რომ ფრენები არ არის, ლოჯისტიკური კავშირის პრობლემა გვაქვს და ამის დარეგულირება აუცილებლად გვჭირდება. ყველაზე ახლოს ამ ქვეყანასთან რაც დაფრინავს, არის სტამბოლის რეისი. ტრანსპორტი როცა არ გიწყობს ხელს და ბევრი გადაჯდომა უწევს ტურისტს, არ არის მაინცდამაინც მიმზიდველი, თუმცა ამაზე ვმუშაობთ.

2018 წელს მონღოლეთიდან საქართველოში იმპორტირებული საქონლის ღირებულებამ ჯამში 10 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტზე საქართველოდან მონღოლეთში 1,874 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა. გასულ წელს წლიური ბრუნვა ამ ქვეყანასთან 1,883 აშშ დოლარი იყო.

**კომერსანტი**

# კუს ტბის ადმინისტრაციამ მერიაში განაშენიანების ახალი სამი პროექტი წარადგინა

კუს ტბის ადმინისტრაციამ მერიაში ტერიტორიის განაშენიანების ახალი გეგმა წარადგინა. სივრცის მოწყობის გენერალური გეგმა, რომელიც დედაქალაქის მთავრობაში თითქმის ერთი წლის წინ შევიდა, დღემდე გაჩერებულია.

როგორც კომერსანტს კუს ტბის გენერალურმა დირექტორმა ნინო ბადაგაძემ განუცხადა, დღემდე უცნობია, რა მიზეზით არის გაჩერებული წინა, მასშტაბური პროექტი. ამჟამად კი მერიას ცალ-ცალკე, სამი დამოუკიდებელი პროექტი წარვუდგინეთ, რომლის ნებართვაზე პასუხი აღდგომის შემდეგ გახდება ცნობილი, უარის შემთხვევაში კი პასუხის გასაჩივრებას ვგეგმავთ.

სამი პროექტი 300.000 ლარზე მეტი დაჯდება და რეკრეაციულ ზონას არ დააზიანებს, ახალ ხელშეკრულებაში კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებით გამწვანების საკითხიც განიხილება.

– მთავარი პროექტი, რომელიც მერიაში გვქონდა შეტანილი შეჩერებულია, მიზეზი არ ვიცით. რაღაცები ვერ გავიგე ამ გენგეგმასთან დაკავშირებით და ახლა ვითხოვ მთავარ არქიტექტორთან შეხვედრას, რომელიც სავარაუდოდ აღდგომის შემდეგ ჩაინიშნება. ჩვენ მანამ გადავედით საქმეზე და ვცდილობთ, ცალ-ცალკე გამოვიტანოთ ნებართვები ყველა პროექტზე. ახლა 3 დიდი პროექტი გვაქვს, თითოეული 100.000 ლარზე მეტი ჯდება. ამ პროექტებს შორისაა კლუბი „ბასიანი“, რომლის დამფუძნებლებიც შემოდის ჩვენთან და ისინიც მერიის ადმინისტრაციისგან ნებართვას ელოდებიან. ასევე გვექნება ახალი აუზი და სტუდენტებისთვის თავისუფალი სივრცე, ღია ტერიტორია სადაც, თავისუფლად შეძლებენ შესვლას და დასვენებას. რაც შეეხება განხილვას, თუ ამ პროექტებსაც არ განიხილავენ აუცილებლად გავასაჩივრებთ. ნებართვა თუ სწრაფად მივიღეთ, მაისის ბოლომდე ყველა პროექტი ამოქმედდება, – ამბობს ნინო ბადაგაძე.

ნინო ბადაგაძის განცხადებით, ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სასტუმროები აღარ აშენდება, რადგან რეკრეაციული ზონა ლანდშაფტზე სრულად მორგებული უნდა იყოს, არსებული პროექტი კი ამ პრინციპს არღვევდა. თუმცა იგეგმება უკვე არსებული შენობების გაუმჯობესება და ახალი სანაპირო ზოლის მოწყობა.

„კომერსანტი“ ერთი წლის წინ წერდა, რომ კუს ტბის განაშენიანების გეგმა შედგა, რომელიც მერიაში იყო გადაგზავნილი. როგორც კუს ტბის გენერალური დირექტორი ნინო ბადაგაძე აცხადებდა, აღნიშნული გეგმა ლოკაციაზე სრულიად ახალ სურათს შექმნიდა. კუს ტბის გენერალური გეგმის ფარგლებში ადგილზე მრავალი სივრცის მოწყობა და გასართობი ობიექტის მშენებლობა იგეგმებოდა.

კერძოდ, ბავშვთა ქალაქი, წყალზე ექსტრემალური გართობა, ასევე ღია აუზი, რომელიც 800 კვ.მ-ზე განთავსდება, სხვადასხვა სახის ღია ტიპის ობიექტები და ორი სასტუმრო.

**კომერსანტი**



# თავისუფალი ბაზრის პრინციპების დანერგვამ თელასს კლიენტები შეუმცირა

ენერგოსექტორის რეფორმამ და ახალი, თავისუფალი ბაზრის პრინციპების დანერგვამ „თელასის“ მომხმარებელთა ბაზა შეამცირა.



„თელასის“ 2019 წლის I კვარტლის ანგარიშის მიხედვით, კომპანიის ელექტროენერგიის მოხმარება 763,1 მლნ კვტ/სთ-მდე, 7,45%-ით (60.9 მლნ კვტ/სთ-ით) შემცირდა, რასაც კომპანიაში ელექტროენერგიის შემსყიდველი კომპანიოების ნუსხიდან ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებლის, „ბი ეფ დი სი ჯორჯიას“ ამოვარდნით ხსნიან. „კომპანია ელექტროენერგიის თავისუფალი ბაზრის მონაწილე გახდა და „თელასისგან“ შესყიდვებს აღარ ახორციელებს, – განმარტავენ თელასში.

შეგახსენებთ, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო 2018 წლის 1 მაისიდან ელექტროენერგიის მსხვილ მომხმარებლებს შეუძლიათ განახორციელონ შესყიდვები თავისუფალ ბაზარზე.

2019 წლის იანვარ-მარტში 2018 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 10,4%-ით (84,4 მილიონი კვტ/სთ-ით) შემცირდა მომხმარებელზე დარიცხული ელექტროენერგიის მოცულობა და 725,1 მილიონი კვტ/სთ-ი შეადგინა. ამ მაჩვენებლის შემცირება ასევე განაპირობა ელექტროენერგიის მსხვილი მომხმარებლის თავისუფალ ბაზარზე გასვლამ.

„თელასის“ აბონენტთა რაოდენობა 2019 წლის სამი თვის მონაცემებით 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4,4%-ით (26,9 ათასი აბონენტით) გაიზარდა და 638,8 ათასი აბონენტი შეადგინა, საიდანაც 575,8 ათასი ფიზიკური პირია, ხოლო 63 ათასი – იურიდიული პირი.

2019 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით, კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძემ 5.697 კმ შეადგინა, რაც 4,7%-ით (257 კმ-ით) აღემატება 2018 წლის იანვარ-მარტის მაჩვენებელს (5 440 კმ). კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე ქსელის განვითარების, აბონენტთა რაოდენობის მატებისა და რეკონსტრუქცია-მოდერნიზების სამუშაოების ჩატარების შედეგად გაიზარდა.

**GBC**

# კახა კალაძე: „ივნისის ბოლოს მეტროს მუშაობა დილისა და საღამოს საათებში, შესაძლოა, თითო საათით შემცირდეს“

ივნისის ბოლოსთვის, ძალოვანი კაბელის გამოცვლის სამუშაოების გამო, შეიძლება, მეტროს მუშაობა თითო საათით შემცირდეს როგორც დილის, ასევე საღამოს საათებში.



ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მეტროში არსებულ პრობლემებზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ძალოვანი კაბელის გამოცვლის პროექტი უკვე დაწყებულია, უშუალოდ სამუშაოები კი ივნისის ბოლოსთვის დაიწყება.

– მეტროში პრობლემები არის. მთავრობის გასულ სხდომებზე გავაკეთე განცხადება ზუსტად იმაზე, რომ დაწყებული გვაქვს პროექტი ძალოვანი კაბელის შეცვლასთან დაკავშირებით. ეს იქნება ახალი, ევროპული ტიპის ბოჭკოვანი კაბელი. 1966 წლის შემდეგ, როცა მეტრომ ფუნქციონირება დაიწყო, არანაირი ცვლილება არ ყოფილა, იმ დროს გაკეთებული ძალოვანი კაბელი დღესაც ფუნქციონირებს. აუცილებელია ამის მოწესრიგება. 17 მილიონი დოლარი გამოგვიყო აზიის განვითარების ბანკმა ამ პროექტის განხორციელებისთვის. უკვე გვყავს ტენდერში გამარჯვებული კომპანია და ივნისის ბოლოსთვის დაიწყება სამუშაოები, რომელთა წარმოების დრო მალე მეცოდინება. შეიძლება თითო საათით შემცირდეს მეტროს მუშაობა, როგორც დილის, ასევე საღამოს საათებში, რომ კომპანიას ჰქონდეს მეტი დრო, რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს 450 კილომეტრის სიგრძის ძალოვანი კაბელისა და ასევე სასიგნალიზაციო და სავენტილაციო სისტემების ცვლილება, – აღნიშნა კალაძემ.

**IPN.GE**

# ავტობუსში უბილეთო მგზავრებისთვის ჯარიმა ოთხმაგდება

მგზავრობისას ბილეთის არქონის შემთხვევაში ჯარიმა 5 ლარიდან 20 ლარამდე იზრდება. ცვლილებები „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის.

კანონპროექტის თანახმად, მგზავრობისას მგზავრი ვალდებულია, მგზავრობის დასაწყისიდანვე შეიძინოს ბილეთი ან ელექტრონული გადახდის საშუალებით განახორციელოს მგზავრობის ტარიფით განსაზღვრული თანხის გადახდა. ამავდროულად, საურავის ოდენობა 50 ლარიდან მცირდება 40 ლარამდე. ასევე მგზავრი ვალდებულია, რეგულარულ მარშრუტზე მგზავრობისათვის იქონიოს ბილეთი, შეინახოს იგი მგზავრობის დამთავრებამდე და წარუდგინოს შესაბამის უფლებამოსილ პირებს მოთხოვნისთანავე, რაც მგზავრს ავალდებულებს, პრაქტიკულად მგზავრობის დასაწყისიდანვე იქონიოს სამგზავრო ბილეთი. კანონპროექტს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი დღეს მეორე მოსმენით განიხილავს.



**BFM**

# ერთ თვეში სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 5%-ით გაიზარდა

ერთ თვეში მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ, 5%-ით გაიზარდა. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით, 2019 წლის 1-ლი აპრილისთვის ლარში გაცემულ მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 5,7%-ით მოიმატა და 22,7% შეადგინა (მარტში – 17%). უცხოურ ვალუტაში ზრდა კი არ დაფიქსირებულა. 1-ლი აპრილისთვის, ისევე როგორც 1-ლი მარტისთვის, უცხოურ ვალუტაში გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 6,2% შეადგინა.



რაც შეეხება ლარში გაცემულ გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებს, აქ საპროცენტო განაკვეთი მცირედით – 17,6%-დან 18,2%-მდე გაიზარდა, უცხოურ ვალუტაში კი 0,1%-ით შემცირდა და 9,8% შეადგინა (1-ლი მარტისთვის – 9,9% იყო).

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2019 წლის 1-ლი აპრილისთვის კომერციული ბანკების მიერ სულ გაცემული იყო 3,78 მლრდ ლარის სამომხმარებლო სესხი.

**BFM**

# ინტერპოლით ძებნილი ძმები გლუშკოვები 100.000-იანი გირაოთი გამოუშვეს

## გადასცემს თუ არა მათ საქართველო რუსეთს



გუშინ, 25 აპრილს, ინტერპოლით ძებნილი ძმები ალექსანდრე და ვლადიმირ გლუშკოვები გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ.

თავდაპირველად გაათავისუფლეს რუსეთის მოქალაქე ალექსანდრე გლუშკოვი, რომელსაც საექსტრადიციოდ გირაოს სახით 100 ათასი ლარის გადახდა მოუწევს.

2018 წლის გაზაფხულზე რუსეთის მოქალაქე გლუშკოვები საქართველოში სარფის გამშვები პუნქტის გავლით შემოვიდნენ. ძმებს რუსეთის ხელისუფლება ეკონომიკური დანაშაულისთვის, თაღლითობისა და ქრთამის აღებისთვის ეძებდა და მათ რამდენიმე მილიონის მითვისებაში ადანაშაულებდა.

გამოძიების ინფორმაციით, 2015 წლის ივლისში ალექსანდრე გლუშკოვმა თავისი ძმის შუამავლობით სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელისგან მიიღო ქრთამი 6 მილიონი რუბლის ოდენობით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის სანაცვლოდ. ამას გარდა, 2013-2016 წლებში ძმებმა გლუშკოვებმა სხვა პირებთან ერთად ავტოსადგურის კომპლექსის რეკონსტრუქციის საბაბით აღნიშნულ ტერიტორიაზე ორსართულიანი სავაჭრო ცენტრის შენობა ააშენეს.

„კურიერის“ ინფორმაციით, ინტერპოლის მიერ ძებნილი დეპუტატი ძმები საქართველოში 6 თვის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ და პოლიტიკური დევნილის სტატუსის მიღებაზე პროკურატურის მაღალჩინოსნებთან მოლაპარაკებები ჰქონდათ. გადაწყვეტილების მიღებამდე ძმებ გლუშკოვებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დიდ თანხას სძალავდნენ. ისინი ფულის გადახდაზე უარის თქმის შემდეგ დააკავეს და გლდანის ციხეში ჩასვეს. გლუშკოვები ამ დრომდე საექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფებოდნენ, გუშინ კი სასამართლომ გადაწყვეტილება შეცვალა და ისინი გირაოს სანაცვლოდ დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

ალექსანდრე გლუშკოვი ამბობს, რომ ის მოყვება ყველა იმ ადამიანის შესახებ, რომლებიც კორუფციულ სქემაში ჩართული იყვნენ.

– ქრთამზე არაფერს გეტყვით. მინდა გითხრათ, რომ გამათავისუფლეს აღდგომის დღესასწაულის წინ და ეს კარგია. იმედი მაქვს, რომ საქართველოს მართლმსაჯულება სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, მომისმენს და გააკეთებს იმას, რაც საჭიროა. კორუფციას პროკურატურა, სასამართლო ან სხვა უწყება კი არა, ხალხი ქმნის და მოგიყვებით ყველა იმ ადამიანის შესახებ, რომლებიც ამ კორუფციულ საქმეში გარეული არიან, – განაცხადა ალექსანდრე გლუშკოვმა.

მისი ადვოკატი ლალი აფციაური ამბობს, რომ გაჩუმებას არც ის აპირებს. მისი თქმით, 9 თვის განმავლობაში სასამართლოს არაერთხელ მიმართა შუამდგომლობით, შეცვლილიყო საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება გირაოთი, თუმცა უარი მიიღო.

აფციაურის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების გირაოთი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც შუამდგომლობა ბრალდების მხარემ დააყენა.

– არც მე ვაპირებ გაჩუმებას, არსებობს კონკრეტული მტკიცებულებები. მათ სიცოცხლესა და უსაფრთხოებას ვიცავდი მეც. საპყრობილეში ყოფნაც კი საფრთხე იყო ჩვენთვის. საექსტრადიციო პატიმრობის ვადები იწურებოდა, საათებია დარჩენილი. ცხრა თვის მანძილზე კვირაში სამჯერ შემომქონდა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გაუქმებაზე. საკმაოდ სოლიდური თანხის სანაცვლოდ, რა თქმა უნდა. ერთი და იგივე მოტივით გვეუბნებოდნენ უარს.

დღეს რომ არ შემოეტანა ბრალდების მხარეს, სასამართლო, რა თქმა უნდა, ამას არ გააკეთებდა, დილას, საღამოს და შუადღეს რომ შემომეტანა შუამდგომლობა, მილიონი რომ შემეთავაზებინა, არ გააკეთებდა, – განაცხადა აფციაურმა.

მისი თქმით, ძმები დღემდე იბრძვიან საქართველოში თავშესაფრის მოპოვებისთვის.

– შესაბამისად, არსად მიმალვას არ აპირებენ, – დააზუსტა აფციაურმა.

ადვოკატის განმარტებით, დაკავების შემდეგ ძმებ გლუშკოვებს სხვადასხვა უწყების თანამშრომლები დახმარების სანაცვლოდ ფულს სძალავდნენ. აფციაურის განცხადებით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დაკავებულები არიან ადვოკატი ირაკლი გაფრინდაშვილი და სუს-ის თანამშრომელი ოთარ გაბუნია.

გადასცემს თუ არა საქართველო ძმებ გლუშკოვებს რუსეთის ფედერაციას? აფციაური ამბობს, რომ ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრმა უნდა მიიღოს.

– მათი საქმე რომ წაიკითხოთ, კლასიკური ნიმუშია პოლიტიკური ნიშნით დევნის. რაც შეეხება ექსტრადირებას, ეს უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული. თავშესაფრის საკითხი კი სააპელაციო სასამართლოშია გასაჩივრებული. ვიდრე ეს არ დასრულდება, იქამდე მათი ექსტრადირება ვერ მოხდება. საბოლოო გადაწყვეტილებას თეა წულუკიანი იღებს“, – განაცხადა აფციაურმა.

საქმის პროკურორი კი ამბობს, რომ ინტერპოლით ძებნილი პირების გათავისუფლებას ერთადერთი მიზეზი აქვს – მათ საექსტრადიციო პატიმრობის ვადა უმთავრდებათ, ექსტრადირებისთვის საჭირო პროცედურების დასრულება მოკლე ვადაში ვერ სრულდება.

# მერაბ კვირიკაშვილი: „მანქანამ მოცურება დაიწყო და ველარ დავიმორჩილე. დავინახე, მანქანას ვეჯახებოდი“

## მორაგბემ ტრაგედიის მომენტი გაიხსენა



გუშინ, 25 აპრილს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის პროცესი გაიმართა.

პროცესზე მერაბ კვირიკაშვილმა ბრალდებისა და დაცვის მხარეების კითხვებს უპასუხა.

კვირიკაშვილმა ავტოსაგზაო შემთხვევის დღე გაიხსენა.

მისი თქმით, ქუთაისის შემოვლით გზაზე დაინახა სატვირთო ავტომობილი, რომელსაც უნდა ჩაევლო მათთვის, ასევე დაინახა ღია ფერის ავტომობილი, აცილების მიზნით მოახდინა მანევრირება, როდესაც მოხდა შეჯახება.

მორაგბის თქმით, მისი ავტომობილი გზის შუა ნაწილში 93 კმ საათის სიჩქარით მოძრაობდა.

– რომ დავინახე ავტომობილი, ინსტინქტურად დავიწყე მოძრაობა, რათა ამეცილებინა. არ შემიძლია ამის ახსნა და გადმოცემა, როგორ მოხდა. მანევრირების შემდეგ ვცადე დაბრუნება ჩემს ზოლში, მაგრამ მანქანამ მოცურება დაიწყო და ვეღარ დავიმორჩილე. დავინახე, მანქანას ვეჯახებოდი, მივხვდი, რაც ხდებოდა. იქამდე არაფერი დამინახავს, – განაცხადა მერაბ კვირიკაშვილმა.

კვირიკაშვილმა გამოძიების დროს მიცემული ჩვენების გამოქვეყნებაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ ურჩევნია, ყველა კითხვაზე სასამართლო პროცესზე უპასუხოს.

პროკურორის კითხვაზე, განაცხადა თუ არა შემთხვევის მომენტში პოლიციელებთან ღია ფერის ავტომობილზე, კვირიკაშვილმა ასე უპასუხა:

– იმ დროს მეუღლეზე და მეგობრებზე ვზრუნავდი და არ მიფიქრია იმ ავტომობილის მძღოლის მოძებნაზე.

მომდევნო პროცესი 14 მაისს დაინიშნა.

შეგახსენებთ, საქმე ეხება 2016 წელს ქუთაისის შემოვლით გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელსაც ოთხი ადამიანი ემსხვერპლა.

# შინდისის გზაზე მანქანა ამოტრიალდა

## დაშავდა 5 არასრულწლოვანი

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 25 აპრილს გორის მუნიციპალიტეტში.

„ნიუპოსტის“ ცნობით, შინდისის გზაზე მსუბუქი ავტომობილი ამოტრიალდა. შემთხვევის შედეგად 5 არასრულწლოვანი დაშავდა. ისინი მრავლობითი დაზიანებებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს რამაც ადამიანის სიცოცხლის მძიმე დაზიანება გამოიწვია.

# მოსამართლე მადონა მაისურაძემ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის ადგილი დაათვალიერა



გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებული გიორგი ჭანტურიას საქმის მოსამართლე მადონა მაისურაძე მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდა.

მოსამართლემ მტკიცებულებების, კონკრეტულად კი შემთხვევის ადგილის გამოკვლევა-დათვალიერება ქუთათელაძის მკვლელობის ადგილზე, ე.წ. სტამბოლის ბაზრობის ტერიტორიაზე განახორციელა.

მოსამართლესთან ერთად ადგილზე პროკურორები, ბრალდებულის ადვოკატები და სამსონ ქუთათელაძის ვაჟი იმყოფებოდნენ.

გენერალი სამსონ ქუთათელაძე, გასული წლის 15 იანვარს, ე.წ. სტამბოლის ბაზრის ტერიტორიაზე საკუთარ კაბინეტში მოკლული ნახეს.

პროკურატურამ ქუთათელაძის მკვლელობის ბრალდებით გიორგი ჭანტურია, გასული წლის აგვისტოში რუსთავში, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შემდეგ დააკავა. ჩხრეკისას სამართალდამცავებმა სამი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები ამოიღეს.

დაკავების შემდეგ გიორგი ჭანტურიას ბრალი სამსონ ქუთათელაძის მკვლელობაზე, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა-შენახვა-ტარებაზე წაუყენა გამოძიებამ.

# გორის ანძის თანამშრომელი გარდაცვლილი იპოვეს

გორის ანძის თანამშრომელი, 70 წელს გადაცილებული მამაკაცი, გარდაცვლილი იპოვეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა 25 აპრილს მოხდა.

გარდაცვლილს დაზიანებები თავის არეში აღენიშნება.

წინასწარი ინფორმაციით, შესაძლოა, ეს დაზიანებები გადმოვარდნის შედეგია. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრო ექსპერტიზის პასუხებს ელოდება.

გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



# ჩხუბი მეტრო დელისთან

## 4 პირი დააკავეს



თბილისის ცენტრში 24 აპრილს, გვიან ღამით, სამართალდამცველებმა 4 ადამიანი დააკავეს.

შემთხვევა ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტროსადგურ დელისთან მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, მომხდარს წინ უძღოდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდა მამაკაცებსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირება, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროში მოქალაქეებსა და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირებას არ ადასტურებენ.

უწყების ინფორმაციით, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი მამაკაცები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წესით დააკავეს.

მობილური ტელეფონით გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ ტერიტორიაზე გვიან ღამით ათამდე პოლიციის ეკიპაჟი იყო მობილიზებული.

– ჩხუბობდნენ, ყვიროდნენ, პოლიცია მოვიდა, ეტყობა, „შესპორდნენ“ ერთმანეთში და ბოლოს წაიყვანეს, – აცხადებს ერთ-ერთი თვითმხილველი.

სამართალდამცავებსა და მოქალაქეებს შორის კამათზე საუბრობს კიდევ ერთი პირი, რომელიც დაკავების ფაქტს შეესწრო.

– დალიეს და ერთმანეთში ჩხუბი მოხდა, მოქალაქესა და პოლიციას შორის, – აცხადებს კიდევ ერთი თვითმხილველი.

# ბათუმში მობილურების მაღაზია გაქურდეს

ბათუმში 24 აპრილს, ღამით, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე მობილურების მაღაზია გაქურდეს. მაღაზიის მეპატრონის განცხადებით, დამნაშავეებმა მაღაზიიდან 20.000 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონები წაიღეს.

ქურდობის ფაქტი ახლომდებარე სამმა ვიდეოკამერამ დააფიქსირა. დანაშაულის ჩამდენები, სავარაუდოდ, არასრულწლოვნები არიან.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს.



# ჯო ბაიდენმა აშშ-ის პრეზიდენტობა გადაწყვიტა

## „მძინარე ჯო, კეთილი იყოს შენი მობრძანება!“



აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

ამის შესახებ ჯო ბაიდენმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

„ჩვენი ქვეყნის ძირითადი ღირებულებები, ჩვენი პოზიციები მსოფლიოში, ჩვენი დემოკრატია, ყველაფერი, რამაც ამერიკა შექმნა, რისკის ქვეშ არის. ამიტომაც დღეს ვაცხადებ, რომ ჩემს კანდიდატურას წარვადგენ აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე“, – განაცხადა ჯო ბაიდენმა.

ჯო ბაიდენს დემოკრატიული პარტიის პრაიმერიზში მოუწევს გამარჯვება, რათა პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი გახდეს. პარტიის პრაიმერიზში ამ ეტაპზე 25 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას.

გამოკითხვების მიხედვით, ჯო ბაიდენი და სენატორი ბერნი სანდერსი „დემოკრატიული პარტიის“ რიგებში ლიდერობენ, როგორც სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატები.

„მძინარე ჯო, კეთილი იყოს საპრეზიდენტო რბოლაში შენი მობრძანება“, – ასე გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჯო ბაიდენის გადაწყვეტილებას.

„იმედია, გონებრივი შესაძლებლობები გეყოფა, რათა წარმატებული კამპანია ჩაატარო პრაიმერიზზე“, – დაწერა დონალდ ტრამპმა „ტვიტერის“ გვერდზე.

# რუსეთი დონეცკისა და ლუგანსკის მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობის მიღებას გაუმარტივებს

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა დონეცკისა და ლუგანსკის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებას მოაწერა ხელი.

კრემლის ლიდერმა განაცხადა, რომ ეს მხოლოდ ჰუმანიტარული ხასიათის საკითხია.

– რაც შეეხება მოქალაქეობის მიღებას – ეს ფაქიზი თემაა. მე, საერთოდაც, მომხრე ვარ, რომ პროცედურები მაქსიმალურად გავამარტივოთ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, სათანადო ყურადღება არ მივაქციოთ უსაფრთხოების მოთხოვნებს, – განაცხადა პუტინმა.

მისი თქმით, ამის გაკეთება მიზანშეწონილია მორალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებებით.

– ჩვენ არ გვაქვს არავითარი სურვილი, პრობლემები შევუქმნათ უკრაინის ახალ ხელმძღვანელობას, მაგრამ ვითარება, როდესაც დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკის ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები საერთოდ მოკლებულნი არიან რაიმე სახის სამოქალაქო უფლებებს, ყოველგვარ საზღვრებს სცდება ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, – განაცხადა პუტინმა.

პუტინის გადაწყვეტილებამ უკრაინელთა აღშფოთება გამოიწვია. ქვეყნის ხელმძღვანელობამ გაეროს უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივი მოწვევა მოითხოვა. პრეზიდენტმა პოროშენკომ კი მსოფლიოს საზოგადოებას მიმართა:

– რუსეთი ცდილობს, დონბასის ანექსიისთვის სამართლებრივი ფონი შექმნას, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

პოროშენკომ დასავლეთს მოუწოდა, გააძლიეროს რუსეთზე დაწესებული საერთაშორისო სანქციები და მოვლენების ყველაზე სისხლიანი სცენარით განვითარება არ დაუშვას.

უკრაინის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ პოროშენკოს მხარი დაუჭირა. მან განაცხადა, რომ პუტინმა თავისი განცხადებით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთი ოკუპანტია.



– დღეს, როგორც არასოდეს, აუცილებელია ერთიანობა! მტერს მხოლოდ ასე გავუმკლავდებით, – ამბობს ზელენსკი.

აშშ-ის საელჩომ კიევში პუტინის განკარგულება დაგმო. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ყირიმი უკრაინაა და დონბასიც უკრაინაა.

– პუტინის ბრძანებას მხოლოდ ვითარების დესტაბლიზაცია ძალუძს, – ნათქვამია განცხადებაში.

# პუტინი ვლადივოსტოკში კიმ ჩენ ინს შეხვდა

ვლადივოსტოკში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი შეხვდნენ ერთმანეთს.

მათ კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციას, რეგიონული თანამშრომლობისა და ორმხრივი ურთიერთობების განვითარების საკითხები განიხილეს.

პუტინმა იმედი გამოთქვა, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერის რუსეთში ვიზიტი ხელს შეუწყობს კორეის ნახევარკუნძულზე სიტუაციის დარეგულირებას. ის ასევე მიესალმა ფხენიანის ძალისხმევას სამხრეთ კორეასა და აშშ-სთან ურთიერთობების ნორმალიზების კუთხით.



– დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ვიზიტი რუსეთში ხელს შეუწყობს ორმხრივ ურთიერთობებს და საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავიგოთ, თუ როგორ შეგვიძლია კორეის ნახევარკუნძულზე არსებული სიტუაციის მოგვარება. ჩვენ ასევე მივესალმებით თქვენს ძალისხმევას ორ კორეას შორის დიალოგის განვითარების კუთხით და აშშ-სთან ურთიერთობების ნორმალიზებას, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა ხელს შეუწყობს კორეის ნახევარკუნძულზე სიტუაციის ნორმალიზებას.

– იმედი მაქვს, რომ ჩვენი შეხვედრა სასარგებლო იქნება ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებისთვის. კორეის ნახევარკუნძულზე სიტუაცია მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესს იწვევს. იმედი მაქვს, ჩვენი მოლაპარაკებების შედეგად არსებულ სიტუაციას უკეთ შევაფასებთ, – დასძინა მან.



# შრი ლანკის პრეზიდენტმა სპეცსამსახურების ხელმძღვანელები დაითხოვა

შრი ლანკის პრეზიდენტმა სირისენამ სპეცსამსახურების ხელმძღვანელები დაითხოვა. თანამდებობები დატოვეს ქვეყნის პოლიციის უფროსმა და მდივანმა თავდაცვის საკითხებში. მიზეზი კათოლიკურ ეკლესიებსა და სასტუმროებში განხორციელებული ტერაქტებია, რომელთაც 350 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

დაკავებულია 60-მდე პირი, რომლებსაც ტერაქტებში მონაწილეობა ბრალდებათ.

აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ შრი ლანკაში მიავლინა მთელი ჯგუფი, რომელიც უნდა დაეხმაროს ადგილობრივ ხელისუფლებას ტერორიზმთან ბრძოლაში.

# შოტლანდია დამოუკიდებლობის რეფერენდუმის განმეორებით ჩატარებას აპირებს

შოტლანდიის პრემიერმა ნიკოლას სტერჯენმა განაცხადა, რომ 2021 წლამდე ჩატარდება დამოუკიდებლობის განმეორებითი რეფერენდუმი.



– ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გავა, – აცხადებს სტერჯენი.

მისი ცნობით, უკვე მზადაა სათანადო კანონპროექტი და მას მალე დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენენ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საფეხბურთო ზეიმი ბათუმში და ლოკომოტივის გამარჯვება

**დინამო (ბთ)-საბურთალო 4:2**

ბათუმი. ანგისა

0:1 დიასამიძე (7), 0:2 როლოვიჩი (18), 1:2 მამუჩაშვილი (22), როლოვიჩი (25სკ), 3:2 საბანაძე (41), 4:2 რამოსი (59)

39-ე წუთზე ფლამარიონმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**დინამო**: ალავიძე, ადამაძე, მელიავა, გაგოშიძე, ნავალოვსკი (ჩალაძე 87), მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, ჯანელიძე (გაფრინდაშვილი 71), რამოსი, საბანაძე (თევდორაძე 82), ფლამარიონი

**საბურთალო**: მიგინეიშვილი, მარველაშვილი, ლაკვეხველიანი, ჩაბრაძე, ცნობილაძე (გრიგალაშვილი 56), კაკუბავა, შინდაგორიძე (გიი 46), დიასამიძე, ალთუნაშვილი, კოხრეიძე (გვარაძე 62), როლოვიჩი



აი, რა აკლია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს... ის, რაც ბათუმში ვნახეთ – გადაჭედილი ტრიბუნები, სიგიჟე, დრამა, რომელსაც მოაქვს... ფეხბურთი მოიტანა.

ანგისას ბაზის ტრიბუნებზე 1.700 მაყურებელი ეტევა, ის სრულად იყო გადაჭედილი, პლუს სტადიონის ოთხივე მხარეს უამრავი მაყურებელი ფეხზე იდგა და ისე ქომაგობდა საკუთარ გუნდს. ბათუმელი ქომაგი ფეხბურთს მონატრებულია. ელიტაში წელს დაბრუნებული დინამო კი მათ გულებს ახარებს და ჩემპიონატსაც ლიდერობს. ბათუმელი ქომაგი სტადიონსაც დანატრებულია... ზღვისპირა ქალაქში კოხტა სტადიონი 2005 წელს დაანგრიეს და მის ადგილზეა სასტუმროა წამოჭიმული. გუნდი აქამდე მატჩებს ძირითადად ქობულეთში ატარებდა, მაგრამ არც სხვა ქალაქებში თამაშზე ამბობდა უარს. გაისად ბათუმს ახალი, თანამედროვე სტადიონი ექნება, გუნდიც ნორმალური ჰყავთ – ცხადია, ქართული საზომებით. ქომაგი გაიხარებს...

ანგისას ბაზაზე მისულმა 6.000-მდე გულშემატკივარმა კი 6 გატანილი გოლი იხილა. თამაში, რომელსაც სტუმრები ორბურთიანი უპირატესობით იგებდნენ, საბოლოოდ გია გეგუჩაძის გუნდის გამარჯვებით დასრულდა – 4:2.

ანგარიში საბურთალომ მე-7 წუთზე გეგა დიასამიძის მიერ გატანილი გოლით გახსნა, მე-18-ზე კი დედაქალაქელთა უპირატესობა ორამდე ოგნიენ როლოვიჩმა გაზარდა.

ზღვისპირელებმა მობილიზება მალევე მოახერხეს: 21– წუთზე სხვაობა ვლადიმერ მამუჩაშვილმა შეამცირა, რამდენიმე წუთში მისივე საჯარიმოდან დარტყმულ ბურთს როლოვიჩმა საკუთარ კარში მიუჩინა ადგილი და დინამომ ანგარიში გაათანაბრა.

პირველი ტაიმის 37-ე წუთზე მასპინძლებმა დაწინაურების შანსი გაუშვეს ხელიდან, როდესაც ფლამარიონმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააფუჭა. თუმცა, 41-ე წუთზე ნიკოლოზ საბანაძემ საბურთალოს მაინც გაუტანა და შესვენებაზე ბათუმელები მათთვის სასურველი ანგარიშით გავიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის მეორე ნახევარი ორმხრივ შეტევებში წარიმართა და არაერთი საგოლე მომენტიც შეიქმნა, შეხვედრაში მხოლოდ ერთადერთი გოლი გავიდა. გატანილი გოლით თავი ისევ მასპინძლებმა გამოიჩინეს, ამჯერად საბურთალოს კარი რამოსმა აილო, რომელმაც თანაგუნდელთა სწრაფი კონტრშეტევა დაასრულა.

ბათუმელებმა ლიდერის დამარცხებით თავად გადაინაცვლეს პირველ ადგილზე...

**რუსთავი-ლოკომოტივი 0:2**

რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

0:1 გადრანი (ავტ), 0:2 კირკიტაძე (60)

**რუსთავი:** მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ტაკულოვი, ლ.გადრანი, ნარიმანიძე (გუჯაბიძე 65), სილაგაძე, ჩოგაძე, ქოჩლაძე, გისტაროვი (ზვიადაძე 84), ციცქიშვილი (კიტეიშვილი 74), იმნაძე

**ლოკომოტივი**: ბულისკერია, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, უბილავა, სამურკასოვი (გვალია 56), შონია, კობახიძე (გოროზია 82), ძებნიაური, თ.კირკიტაძე, დავითაშვილი, სიხარულიძე (ჯიქია 70)

აუტსაიდერმა რუსთავმა ასევე გასავარდნ ზონაში მყოფ თბილისის ლოკომოტივს უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა.

სტუმრებმა თამაშში დაწინაურება ლუკა გადრანის მიერ გატანილი ავტოგოლის წყალობით მალევე მოახერხეს. ზმის შემდეგ თამაში ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა. გოლის გატანის შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. უფრო მეტი რუსთაველებს, მაგრამ ჩინებულად თამაშობდა მეკარე დემეტრე ბულესკირია. საბოლოოდ, რუსთაველთა გუნდი მომენტების გამოუყენებლობის გამო დაისაჯა და თორნიკე კირკიტაძემ ანგარიში გაზარდა.

ლევან კორღალიძის გუნდმა ეს უპირატესობა შეინარჩუნა და მნიშვნელოვანი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 10 | 7 | 1 | 2 | 15-8 | 22 |
| 2.საბურთალო | 10 | 7 | 0 | 3 | 23-16 | 21 |
| 3.ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 11-8 | 17 |
| 4.დინამო (თბ) | 9 | 5 | 1 | 3 | 15-7 | 16 |
| 5.ჩიხურა | 9 | 3 | 5 | 1 | 12-7 | 14 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 9 | 3 | 2 | 4 | 5-8 | 11 |
| 7.სიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-18 | 11 |
| 8.ლოკომოტივი | 10 | 3 | 0 | 7 | 12-17 | 9 |
| 9.დილა | 9 | 2 | 2 | 5 | 7-10 | 8 |
| 10.რუსთავი | 10 | 0 | 3 | 7 | 6-19 | 3 |

# კახა კალაძე: „პოლიტიკოსი არასდროს უნდა დამარცხდეს"



თბილისის მერმა და საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კახა კალაძემ იტალიურ მედიასთან ისაუბრა და აპენინებზე გატარებული პერიოდი გაიხსენა. კალაძემ, დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გარდა, იმ დროის მილანის წარმატების საიდუმლო დაასახელა, რომელ პერიოდში „როსონერის" მაისურით გამოდიოდა.

***– როგორია თქვენი ერთი დღე?***

– დატვირთული. დილით ძალიან ადრე იწყება და გვიან ღამით მთავრდება. დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია – უნდა გამოვეხმაურო საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის საჭიროებებს.

***– რა უფრო რთულია, სპორტსმენობა თუ პოლიტიკოსობა?***

– პოლიტიკაში არასდროს არ უნდა დამარცხდე. გადაწყვეტილებები საბოლოოდ გავლენას ხალხზე ახდენს. ფეხბურთში კი შეიძლება შენი გუნდი დამარცხდეს ან ფრე ითამაშოს. თუმცა, მისი გამოსწორება შეიძლება.

***– ბერლუსკონისთან ისევ კონტაქტობთ?***

– ბოლოს ეს მაშინ მოხდა, როდესაც არჩევნებში გავიმარჯვე და მომილოცა.

***– პოლიტიკაში ბერლუსკონის მოდელით ხართ?***

– ძნელია პარალელის გავლება. საქართველო და იტალია სრულიად განსხვავდებიან. ჩვენ ბევრ რამეში უკან ვართ, მაგრამ განვითარებაზე ვმუშაობთ. ცოტა ხნის წინ ჩვენ რუსეთთან ომი გვქონდა და ჩვენი ტერიტორიები რუსეთის მიერ ისევ არის ოკუპირებული.

***– რას ნიშნავს თქვენთვის იტალია და მილანი?***

– დღეს რასაც წარმოვადგენ, ეს თქვენი ქვეყნისა და მილანის დამსახურებაა. გამარჯვების მენტალიტეტი, რომელიც „როსონერიში" გვქონდა, მინდა, პოლიტიკაში გამოვიყენო.

***– სადღეისოდ მილანს როგორ უყურებთ?***

– ეს არის გუნდი, რომელსაც დიდი განვითარება შეუძლია. გატუზო თავის სამუშაოს კარგად ასრულებს, მომწონს როგორც მუშაობს და ვიმედოვნებ, ჩემპიონთა ლიგაზე გავლენ. იმედია, გატუზო მომავალ სეზონშიც მილანის მთავარი მწვრთნელი იქნება.

***– თქვენ გატუზოსთან უამრავი ისტორია გაკავშირებთ.***

– ასეთი ისტორიები თითოეული ვარჯიშიდან გვაქვს. ყოველდღე ხუმრობები. პირლო გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ შიგნიდან ასეთი არ იყო. ორივე დიდი ფეხბურთელი იყო, მეგობრები და განსაკუთრებული ადამიანები. მხოლოდ ერთი პრობლემა არსებობდა...

***– რომელი?***

– ბრაზილიელების ჩაცმულობის ყურება შეუძლებელი იყო, ან ფილიპო ინძაგის. ჯერ კიდევ მახსოვს მისი ტყავის ქურთუკი, ღმერთო ჩემო, ეს რა იყო...

***– მალდინი ყოველთვის იყო სიმბოლო, ისევე, როგორც ჩემპიონი?***

– პაოლო მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდაა. ახლა სწორ ადგილას მუშაობას და ვუსურვებ, რომ ტოპგუნდი აეშენებინოს.

***– პიონტეკი შევჩენკოს ჰგავს?***

– ვფიქრობ, არა. პოლონელი კარგად თამაშობს, მაგრამ შევასთან პარალელისთვის ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, რადგან უკრაინელი ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია, რომელთანაც მითამაშია.

***– სხვებიც არიან დიდი ფეხბურთელები?***

– მალდინი, ნესტა, რივალდო, ინძაგი, რუი კოშტა, რონალდინიო.

***– ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?***

– იბრაჰიმოვიჩი, ვიერი და რონალდო.

***– მილანის მაისურით ყველაზე კარგად რა გაგონდებათ?***

– მანჩესტერში ჩატარებული ჩემპიონთა ლიგის პირველი ფინალი, რადგან იმ სიხარულის სიტყვებით გადმოცემა რთულია. ისევე, როგორც მეორედ ჩემპიონთა ლიგის მოგება. პერსონალურად კი, დერბიში გატანილი გოლი, რომლითაც მატჩი მოვიგეთ. დიდი სიხარული იყო საკონტინენტთაშორისო თასისა და სკუდეტოს მოგებაც. ჩვენი ქომაგები ჩვენით ნამდვილად ამაყობდნენ. დასანანი მხოლოდ ლივერპულთან სტამბოლში წაგებული ფინალია.

***– რა იყო თქვენი საიდუმლო? იუვენტუსი დღეს ძალიან ძლიერია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგას ვერ იგებს. თქვენს დროს ალბათ უფრო მეტი ძლიერი გუნდი იყო და მეტი იბრძოდა მაღალი მიზნებისთვის. თუმცა, თქვენ ხშირად იყავით მწვერვალზე...***

– გამოვარჩევდი ნიჭსა და ხასიათს, რომელიც ჩვენს მილანს ჰქონდა. შეიძლებოდა ნაკლებად ძლიერ გუნდთან დავმარცხებულიყავით, მაგრამ ყველა გადამწყვეტ თამაშს ვიგებდით, რომელიც მართლა მნიშვნელოვანი იყო.

***– თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი?***

– ინტერს გავუტანე და ისტორიაში შევედი. „ნერაძური" ჩვენი მთავარი მეტოქე იყო იუვესთან შედარებით. განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევდა.

***– როგორ დავასრულოთ ინტერვიუ?***

– როგორც ყოველთვის – ფორცა მილან!

# შენგელიამ და ბასკონიამ მოედანი დათმეს



თორნიკე შენგელიას ბასკონიამ მოსკოვში მოპოვებული მოედნის უპირატესობა ვიტორიაში დაგეგმილი 2 მატჩიდან პირველივეში დაკარგა. ევროლიგის მეოთხედფინალური სერიის მე-3 მატჩში ბასკონიელები შინ რუსულ ცსკა-სთან 77:84 დამარცხდნენ და საერთო ანგარიშით – 1:2 ჩამორჩნენ.

ესპანურმა კლუბმა სერიის საწყისი 2 შეხვედრა მოსკოვში გამართა და ერთი მოიგო, რითაც მოედნის უპირატესობა მოიპოვა. სამწუხაროდ, ქართველი ფორვარდის გუნდმა ვერ შეძლო მომდევნო შეხვედრის მოგება და რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ცსკა-ს სერიის მოგებამდე 1 გამარჯვება აკლია. შემდეგი მატჩი ისევ ვიტორიაში 26 აპრილს გაიმართება.

ქართველმა კალათბურთელმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 19 წუთში 9 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. შენგელიამ 5-დან 3 ორქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

ბასკონიის რიგებში საუკეთესო ფრანგი ცენტრი ვინსენ პუარე იყო, რომელმაც ორმაგი დუბლი (19 ქულა, 15 მოხსნა) შეასრულა, რუსულ გრანდს კი ასევე ფრანგმა ნანდო დე კოლომ ულიდერა 28 ქულით.

გიორგი შერმადინის უნიკახამ კი ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. მალაგელებმა წინა მატჩი აუტსაიდერ ბრეგანთან დათმეს, ამჯერად კი ვალენსიაშიც დამარცხდნენ – 57:96.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 17 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა და 2 დაფარება მიითვალა. შერმადინმა 6-დან 2 ორქულიანი ჩააგდო.

უნიკახა 16 მოგებითა და 12 მარცხით სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზე დარჩა, მომდევნო შეხვედრას შინ სან პაბლო ბურგოსთან გამართავს.

# ჰოკეის ნაკრები ზელანდიასთან დამარცხდა



საქართველოს ჰოკეის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ბ დივიზიონში მესამე მატჩი გამართა და მეორე მარცხი იწვნია. როლანდ სვანიძის გუნდმა ამჯერად ახალი ზელანდიის ნაკრებთან დათმო – 2:6.

არადა, მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის მატჩი შესანიშნავად დაიწყო. პირველივე წუთზე არტიომ კოზიულინმა გაიტანა და სვანიძის გუნდი დაწინაურდა. ქართველი ჰოკეისტები 10 წუთის განმავლობაში ინარჩუნებდნენ უპირატესობას, მაგრამ 3 წუთში 2 გოლი გაუშვეს და ჩამორჩნენ. თუმცა მე-15 წუთზე არტიომ კურბატოვის გოლით საქართველოს ნაკრებმა გაათანაბრა ანგარიში და პირველი პერიოდი 2:2 დასრულდა.

სამწუხაროდ, დარჩენილი ორი პერიოდი ახალზელანდიელი ჰოკეისტების უპირატესობით წარიმართა. საქართველოს ნაკრებმა სამივე პერიოდში 2-2 შაიბა გაუშვა და საბოლოოდ, 2:6 წააგო. როლანდ სვანიძის გუნდს 3 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში ისევ მე-5 ადგილზეა.

მე-3 ტურში ისრაელის ნაკრებმა 9:3 მოუგო ჩრდილოეთ კორეას, ხოლო ისლანდიამ 8:1 გაანადგურა მექსიკა. ამ შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენები 3 ქულით მე-5 ადგილს ინარჩუნებენ და მხოლოდ უქულო მექსიკას უსწრებენ. სატურნირო ცხრილს კი, 9 ქულით ისრაელი ლიდერობს, 6-6 ქულა აქვთ ისლანდიასა და ზელანდიას, ხოლო ჩრდილოეთ კორეა 3 ქულით არის და ურთიერთშეხვედრებით გვისწრებს.

მომდევნო შეხვედრას ქართველი ჰოკეისტები ისლანდიის წინააღმდეგ გამართავენ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

**24 აპრილი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-არსენალი ........................ 3:1
მანჩესტერი-სიტი ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 35 | 29 | 2 | 4 | 89-22 | 89 |
| 2.ლივერპული | 35 | 27 | 7 | 1 | 79-20 | 88 |
| 3.ტოტენჰემი | 35 | 23 | 1 | 11 | 65-35 | 70 |
| 4.ჩელსი | 35 | 20 | 7 | 8 | 59-38 | 67 |
| 5.არსენალი | 35 | 20 | 6 | 9 | 69-46 | 66 |
| 6.მანჩესტერი | 35 | 19 | 7 | 9 | 63-50 | 64 |
| 7.ვულვზი | 35 | 14 | 9 | 12 | 44-43 | 51 |
| 8.უოტფორდი | 35 | 14 | 8 | 13 | 50-50 | 50 |
| 9.ევერტონი | 35 | 14 | 7 | 14 | 50-44 | 49 |
| 10.ლესტერი | 35 | 14 | 6 | 15 | 48-47 | 48 |
| 11.ვესტ ჰემი | 35 | 12 | 7 | 16 | 44-54 | 43 |
| 12.კრ.პალასი | 35 | 12 | 6 | 17 | 43-48 | 42 |
| 13.ნიუკასლი | 35 | 11 | 8 | 16 | 35-44 | 41 |
| 14.ბორნმუთი | 35 | 12 | 5 | 18 | 49-62 | 41 |
| 15.ბარნლი | 35 | 11 | 7 | 17 | 44-62 | 40 |
| 16.საუთჰემპტონი | 35 | 9 | 10 | 16 | 41-58 | 37 |
| 17.ბრაიტონი | 35 | 9 | 7 | 19 | 32-54 | 34 |
| 18.კარდიფი | 35 | 9 | 4 | 23 | 30-65 | 31 |
| 19.ფულემი | 35 | 6 | 5 | 24 | 33-76 | 23 |
| 20.ჰადერსფილდი | 35 | 3 | 5 | 27 | 20-69 | 14 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-ვალენსია ........................ 3:2
ლეგანესი-ბილბაო ........................ 0:1
ესპანიოლი-სელტა ........................ 1:1
ლევანტე-ბეტისი ........................ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 34 | 24 | 8 | 2 | 85-32 | 80 |
| 2.ატლეტიკო | 34 | 21 | 8 | 5 | 51-23 | 71 |
| 3.რეალი | 33 | 20 | 4 | 9 | 58-38 | 64 |
| 4ხეტაფე | 33 | 14 | 12 | 7 | 43-29 | 54 |
| 5.სევილია | 33 | 15 | 7 | 11 | 54-42 | 52 |
| 6.ვალენსია | 34 | 12 | 16 | 6 | 40-30 | 52 |
| 7.ბილბაო | 34 | 12 | 13 | 9 | 37-39 | 49 |
| 8.ალავესი | 34 | 12 | 10 | 12 | 35-44 | 46 |
| 9.ესპანიოლი | 34 | 11 | 10 | 13 | 40-49 | 43 |
| 10.ბეტისი | 34 | 12 | 7 | 15 | 38-49 | 43 |
| 11.სოსიედადი | 33 | 10 | 11 | 12 | 39-41 | 41 |
| 12.ლეგანესი | 34 | 10 | 11 | 13 | 33-39 | 41 |
| 13.ეიბარი | 34 | 9 | 13 | 12 | 42-47 | 40 |
| 14.ლევანტე | 34 | 9 | 10 | 15 | 51-61 | 37 |
| 15.ვილიარეალი | 33 | 8 | 12 | 13 | 42-46 | 36 |
| 16.სელტა | 34 | 9 | 9 | 16 | 48-57 | 36 |
| 17.ვალიადოლიდი | 34 | 8 | 11 | 15 | 29-47 | 35 |
| 18.ხირონა | 34 | 8 | 10 | 16 | 34-47 | 34 |
| 19.უესკა | 34 | 6 | 11 | 17 | 37-55 | 29 |
| 20.რაიო | 33 | 7 | 7 | 19 | 36-57 | 28 |

**გერმანია. თასი**

ვერდერი-ბაიერნი ........................ 2:3

**იტალია. თასი**

მილანი-ლაციო ........................ 0:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ზვოლე-გრონინგენი ........................ 1:2
უტრეხტი-სიტარდი ........................ 2:1
ბრედა-ფეინოორდი ........................ 0:4

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ახმატი-კრასნოდარი ........................ 1:1
როსტოვი-ლოკომოტივი ........................ 1:2
რუბინი-უფა ........................ 1:1
ცსკა-ანჟი ........................ 2:0
ზენიტი-დინამო ........................ 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-სტ.პოლენი ........................ 2:2
ლინცერი-შტურმი ........................ 1:2
ზალცბურგი-ვოლფსბერგერი ........ 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-ლეხია ........................ 3:4
ლეხი-ლეგია ........................ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ჰაკენი ........................ 1:0
ესკილსტუნა-ესტერსუნდი ............ 0:1
მალმიო-ჰამარბი ........................ 4:1
ფალკენბერგი-სირიუსი ................ 0:0
ელფსბორგი-იორებრო ................ 4:2

# პოლიციელმა სმენადაქვეითებული მოხუცი გადაარჩინა



ინდოეთში პოლიციელმა სმენადაქვეითებული მოხუცი, რომელიც ბაქანზე იჯდა, რკინიგზის შემადგენლობის მიახლოებამდე რამდენიმე წამით ადრე გადაარჩინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, რომ მოხუცი ბაქნის კიდეზე ზის და ყურადღებას არ აქცევს მოახლოებულ მატარებელს. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა, რომელიც სადგურში პატრულირებდა, სწრაფი რეაგირება მოახდინა და ის უსაფრთხო ადგილზე გადაათრია.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კოლეგებმა პოლიციელ აბხიშეკ პანდეიას ქმედება დააფასეს და მის დაჯილდოებას აპირებენ. მოხუცის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# მანქანაში გაჭედილმა ქალმა ხუთი დღე საკვების გარეშე გაძლო



ამერიკის ალაბამის შტატში მაშველებმა გასულ კვირას დაკარგული ქალი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან ხუთი დღე საკვების, წყლისა და წამლების გარეშე გაძლო.

49 წლის რობინ ჯოის ფანჩერი ბოლოს 17 აპრილის დილას ნახეს, როდესაც ის გამოვიდა სახლიდან და საკუთარი მანქანის საჭეს მიუჯდა. რობინი მეგობარს უნდა შეხვედროდა, თუმცა დანიშნულების ადგილამდე არ მიუღწევია. ერთი დღის შემდეგ ქალის შვილებმა მისი დაკარგვის თაობაზე განაცხადეს.

– ის ყოველ დღე რეკავდა ან ფეისბუქით მიკავშირდებოდა. რაღაც უსიამოვნო ვიეჭვე და პანიკაში ჩავვარდი, – განმარტა რობინის ქალიშვილმა მაგენ ჰიდერმა.

ხუთი დღის შემდეგ გამვლელმა ქალის ვერცხლისფერი მანქანის უკანა ნაწილი შენიშნა, რომელიც თხრილში იყო გაჭედილი. შემთხვევის ადგილზე მივიდა პოლიცია და მაშველები. მათ ავტომობილის წინა სავარძელზე აღმოაჩინეს ფანჩერი. მისი გადარჩენის ოპერაცია საათ-ნახევარს გაგრძელდა, ვინაიდან ქალი მძღოლის კარსა და საჭეს შორის იყო გაჭედილი. თვითმხილველების თქმით, ქალი მთელი ამ დროის განმავლობაში გონებაზე იმყოფებოდა და მაშველების სიტყვებზე რეაგირებდა.

პოლიციელების დასკვნით, ქალი ავარიაში 17 აპრილის დილით მოყვა, სახლიდან გამოსვლიდან მცირე ხანში.

ქალის შვილის თქმით, მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, მათ შორის თირკმლების, ამიტომ მისთვის აუცილებელი იყო ყოველ დღე სხვადასხვა დანიშნულების წამლების მიღება. ფანჩერის გადარჩენას მისი ოჯახის წევრები სასწაულს მიაწერენ.

ქალი შტატის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

# კურიერმა კლიენტს საფოსტო ყუთი დაუმტვრია

ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში კომპანია ამაზონის კურიერმა კლიენტს იმის მაგივრად, რომ დომოფონზე დაერეკა და ამანათი პირადად მისთვის გადაეცა, საფოსტო ყუთი დაუმტვრია.

სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ ვიდეოზე




ჩანს, რომ კომპანია ამაზონის ადგილზე მიტანის სამსახურის კურიერი ცდილობს, საფოსტო ყუთში მოათავსოს ამანათი. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ის მას ამტვრევს და მანქანასთან ბრუნდება.

ამ დროს სახლიდან გამოდის შემკვეთი შარიფ რაჰიმ-ბაქსი. ის დამტვრეულ საფოსტო ყუთს ამჩნევს და კურიერს ეძახის, მაგრამ ის მანქანაში ჯდება და მიდის.

რაჰიმ-ბაქსმა 18 ფუნტი სტერლინგის უსადენო ყურსაცმები შეუკვეთა. ახლა კი მას ორჯერ მეტის გადახდა მოუწევს საფოსტო ყუთის აღსადგენად.

მისი თქმით, ის დიდი ხანია, ამ კომპანიის მომსახურებით სარგებლობს და რომ უმჯობესი იქნება, თუ ისინი უფრო ყურადღებით მოეკიდებიან თანამშრომლების შერჩევას.

კომპანია ამაზონის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ბრიტანელის შეტყობინებას უპასუხეს, ბოდიში მოუხადეს და მომხდარში გარკვევას დაჰპირდნენ.

# ნიანგმა მოხუცი მოკლა და ნაპირზე მიატოვა

მალაიზიაში იპოვეს ხანდაზმული მამაკაცის ცხედარი, რომელიც ნიანგის თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

რეპტილიამ 61 წლის ზაინუდინ ბედი 23 აპრილს, ადგილობრივი დროით დაახლოებით 9:00 საათზე მოკლა. მამაკაცის მოსაძებნად ხუთი მაშველი სახანძრო მანქანით გაემართა. ორი საათის შემდეგ მათ ბედის ცხედარი პალმის პლანტაციის მახლობლად, მდინარის ნაპირზე აღმოაჩინეს.

ოფიციალური მონაცემებით, 2010 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ნიანგებმა 27 მალაიზიელი მოკლეს.

# პასტორი ქალებისგან ეშმაკეულს ხანგრძლივი კოცნით დევნიდა

ზიმბაბვეში პასტორმა ქალს მრევლის თვალწინ აკოცა, რათა მისგან ბოროტი სულები გამოედევნა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა თვითმხილველმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.



კადრებში ჩანს, თუ როგორ მიდის ღვთისმსახური ვარდისფერ კაბაში გამოწყობილ ქალთან და რამდენიმე წამის განმავლობაში ტუჩებში კოცნის. ადგილობრივი მასმედიის ცნობით, პასტორი მრევლისგან ასეთი მეთოდით ახდენდა ეშმაკეულის გამოდევნას. შემდეგ ის განზე გადგა, ხელები დაიფერთხა და ქალს რაღაც მითითებები მისცა. ქალი ხელის მტევნით საკუთარი მუცლის წინ წრიულ მოძრაობებს აკეთებს, რის შემდეგაც პასტორი მას ისევ კოცნის.

– პასტორი მუშაობს. ალილუია! – დაწერა კომენტარში ვიდეოს ავტორმა რაიმონდ მაჯონგვემ.

ინტერნეტმომხმარებლებმა საკუთარ კომენტარებში აღშფოთება გამოხატეს პასტორის მხრიდან ასეთი საქციელის გამო.

– ნამდვილი საზიზღრობაა... დააპატიმრეთ ეს გარყვნილი, – დაწერა ერთ-ერთმა კომენტარში.

– ასეთი რამ დაუშვებელია. ის ციხეში უნდა ჩასვან, – დაწერა მეორემ.

# ფასტფუდ-რესტორნის მფლობელი ათი წელი მილიონერებს ძარცვავდა

დიდ ბრიტანეთში ფასტფუდრესტორნის მფლობელმა 500 ათასი ფუნტი სტერლინგის ძვირფასეულობის ქურდობა აღიარა.



2008-2018 წლების პერიოდში 42 წლის ასტრიდ კაპაჟი ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანში ღამღამობით მილიონერების ბინებს ძარცვავდა და, საერთო ჯამში, 542 ათასი ფუნტი სტერლინგის საიუველირო ნაკეთობები მოიპარა. პოლიციელებმა მას „უიმბლდონელი მაწანწალა“ შეარქვეს.

მისი დაჭერა იმიტომ ვერ ხერხდებოდა, რომ კაპაჟი ჭრიდა სიგნალიზაციისა და სათვალთვალო მოწყობილობების მავთულებს, ბინებში კი ფანჯრიდან აღწევდა, რისთვისაც დასაკეცი კიბით სარგებლობდა.

კაპაჟი მრავალი წლის განმავლობაში ახერხებდა პოლიციისგან დამალვას და ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა – მეუღლესთან ერთად რესტორანს ამუშავებდა, რომელიც თევზის კერძებითა და კარტოფილი ფრით ვაჭრობდა. ისინი ორ ბავშვს ზრდიდნენ. ის ბრიტანეთში კოსოვოდან ჩავიდა და დიდ მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ალტრინგემში დასახლდა.

მამაკაცის განაჩენს სასამართლო 21 ივნისს გამოაცხადებს. მას ხანგრძლივი დროით პატიმრობა ემუქრება.

# ქალი 27-წლიანი კომის შემდეგ გონს მოვიდა

გერმანიაში ქალი, რომელიც 27 წელი კომაში იმყოფებოდა, სრულ გონებაზე მოვიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

არაბეთის გაერთიანებული ემირატების მკვიდრმა მუნირა აბდულამ ქალა-თავის ტვინის ტრავმა 1991 წელს ავტოავარიის შედეგად მიიღო. მის მანქანას ქალაქ ალაინის მახლობლად სასკოლო ავტობუსი დაეჯახა. ავტომობილში ასევე იმყოფებოდა მისი შვილი ომარ ვებერი. დედა მას საკუთარი სხეულით გადაეფარა და გადაარჩინა. ბიჭი მსუბუქი ტრავმებით გადარჩა.

მუნირა ჯერ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, შემდეგ კი ლონდონში გადააფრინეს დიაგნოზის დასასმელად. ექიმები აღნიშნავდნენ, რომ ქალი მინიმალურ გონებაზე იმყოფება – მდგომარეობაში, რომელიც კომას წააგავს, რომლის დროსაც ორგანიზმი ტკივილებს აღიქვამს. მოგვიანებით ის ემირატებში დააბრუნეს, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ხელოვნურად აძლევდნენ საკვებს და ფიზიოთერაპიას უტარებდნენ.

2017 წელს აბუ-დაბის მემკვიდრე პრინცმა მოჰამედ ბენ ზაიდმა აბდულას ოჯახის მდგომარეობის შესახებ შეიტყო და მან გერმანიაში მუნირას მკურნალობის ხარჯები დააფინანსა. ერთი წლის შემდეგ ქალმა გარკვეული ხმების გამოცემა დაიწყო, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ თვალები გაახილა და შვილის სახელი წარმოთქვა.

ქალი აბუ-დაბიში ოჯახთან ერთად დაბრუნდა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას აგრძელებს. მას კუნთების ატროფიის სამკურნალოდ ფიზიოთერაპია სჭირდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 26 აპრილისთვის



**ვერძი** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. კვირის ესა თუ ის დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ დანიშნული ძველად; 2. შვედური ავტომობილი; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. პურის მცხობელი; 7. ყურის ანთება; 9. ძაფზე ასხმული სამკაული; 12. ჩქარტემპიანი პოლონური ხალხური ცეკვა; 14. პატარა სამგზავრო-სატვირთო ავტომობილი; 15. ერთადგილიანი სწრაფმავალი მოტორიანი სპორტული ნავი; 17. შრი ლანკის დედაქალაქი; 20. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში.

**თარაზულად**: 5. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 6. მხარე გერმანიაში; 8. მაღალხარისხოვანი ფერადი ბროლის წარმოებაში გამოყენებული ქიმიური ელემენტი, ლითონი; 10. კათოლიკური ეკლესიის ცენტრი; 11. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 13. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 16. მჭევრმეტყველების თეორია; 18. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 18. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. მაღალხარისხოვანი ყავის ჯიში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მოკო; 2. ერა; 3. კორონაცია; 4. ტოკაი; 5. თაღლითი; 8. ბულა; 9. ბარნელა; 10. კაბინეტი; 12. სხალთა; 13. ტვიში; 15. ცეისი.

**თარაზულად**: 1. მაღრაძე; 6. მოთხრობა; 7. კობზა; 10. კლოდი; 11. პლაზა; 13. ტუნგი; 14. მოცვი; 16. ლაპი; 17. არქტიკა; 18. პოლისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ხერგიანი; 2. ფუქსი; 3. ყაპუზუნა; 4. რიკოთი; 7. კროლი; 9. კირხე; 12. კრიტერიუმი; 14. კულონი; 15. ნუსხური; 17. დისპუტი; 20. ხმალი.

**თარაზულად**: 5. ცელსიუსი; 6. ორაგული; 8. დასლერი; 10. კელასური; 11. ბრეცია; 13. პლანერი; 16. შეწირული; 18. პირეი; 19. ოსერი; 21. უმანკო; 22. ბრისტოლი; 23. გაუტამა.

# აზერბაიჯანელებმა გარეჯას უდაბნოს მონასტრის ბილიკი გადაკეტეს



გარეჯას უდაბნოს მონასტრის ბილიკი მესამე დღეა გადაკეტილია აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ.

ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელში ზვიად ანანიაშვილმა გაავრცელა:

– მესამე დღეა, გარეჯში ჩამოსულ მომლოცველებსა და სტუმრებს უდაბნოს მონასტერში მისასვლელი ბილიკი გადაკეტილი ხვდებათ აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ.

მიზეზი „ზე გასაიდუმლოებულია“. ყველაფერი ჩიჩხიტურის მონასტრის სცენარით ვითარდება, რომელიც დღეისათვის აბსოლუტურად მიუწვდომელია.. აქაც, უდაბნოს მონასტერში ამოჰყავთ ბილიკი აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს, რათა სადღეღამისო მორიგეობა განახორციელონ.

უდაბნოს მონასტერი, რომელიც არა მარტო ქართულ კულტურაში, არამედ მსოფლიო კულტურაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია, დაკარგვის პირასაა, გაუგონარი უყურადღებობის გამო... მე პირადად არ მესმის, ამაზე მეტი დასაცავი რა გვაქვს ქართველებს!

ჩვენი ძილი სიკვდილში გადადის უკვე!

გარეჯას უდაბნოს მონასტერი – ესაა გამორჩეული მარგალიტი ქართული კულტურის ძეგლთა შორის!

პ.ს. პოსტს დართული აქვს ფოტოები. წითელი ისრით ნაჩვენებია, თუ საიდან ჩაჰყავთ ბილიკი აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს საკუთარი სასაზღვრო ბაზისკენ. ისინი ორივე ჩასასვლელის ბლოკირებას ახდენენ უდაბნოს მონასტერში და ახორციელებენ ბილიკის მშენებლობას, რაშიც კლდეში ნაკვეთი ტაძრებიდან და სენაკებიდან ჩამოცვენილ ქვებს იყენებენ.

# ოთო ლომთაძე კახი კალაძეს უფრთხილდება



„კომედი შოუს“ ერთ-ერთი მსახიობი და სცენარისტი ოთო ლომთაძე თბილისის მერ კახი კალაძეს უფრთხილდება და საქართველოს მთავრობას ურჩევს, თბილისის მეტროს საკადრისი ყურადღება მიაქციონ:

– საქართველოს მთავრობა, გასაგებია, რომ ელექტროავტომობილების წარმოებაზე გაქვთ გადატანილი მთელი ყურადღება, მაგრამ იქნებ მეტროსაც დახედოთ ხანდახან. თან მეტროთი კალაძე მგზავრობს ხშირად და არ შეუქმნათ შეფერხება სამსახურში მიმავალ გზაზე.



# ქეთევან კიკნაძე ჭორიკნებმა დაღალეს

მსახიობი ქეთევან კიკნაძე გაოცებულია და ვერაფრით გაუგია, რა სიამოვნებას იღებენ ადამიანები, როცა ამა თუ იმ ადამიანზე ავრცელებენ ჭორს, რომ გარდაიცვალა:

– რა სიამოვნებას განიცდიან ან რა იუმორია, როცა ავრცელებენ, ის მოკვდა, ,ეს მოკვდა, არ მესმის, რას ჰგავს ეს.

შეწყვიტე, უგნურო! ასეთი ჭორი მხოლოდ შენ მიგაჩნია, რომ მასხრობა და იუმორია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ბუბა ხოტივარი: „სახელმწიფო ვალდებულია, აღადგინოს ქართული კინოწარმოება“



რეჟისორი ბუბა ხოტივარი ქართული კინოს აღდგენის აუცილებლობაზე საუბრობს:

– კინო დიდი ხანია, რაც აღარ არის მხოლოდ სანახაობა და გართობა. კინო არის საზოგადოების აღზრდის ყველაზე, ყველაზე სერიოზული, ყველაზე მძლავრი საშუალება. ნიჭიერი ხელოვნება, განსაკუთრებით კი ნიჭიერი კინო აყალიბებს ერის განწყობას, მის მსოფლმხედველობას, მის ერთიანობას, თუ გნებავთ, ფსიქიკას.

კინო აყალიბებს ერს ერად, ახალგაზრდებს აძლევს ზნეობრიობის, სიყვარულის, სიკეთის მაგალითს, იძლევა სამყაროს შემეცნების საშუალებას, ძალდაუტანებლად ხსნის, რა არის კარგი და რა არის ცუდი.

ყოველი ნიჭიერი ფილმი ცოტათი მაინც ეხმარება ადამიანს მის რთულ ყოფაში, აძლევს მას ოპტიმიზმის საფუძველს, ასეთი არ იყო ქართული კინო? ასეთი არ არის ჩვენი შედევრები? ისინი ზრდიდნენ საზოგადოებას, ეს შეწყვიტეს ხელოვნურად და დაგვიპირისპირეს ასეთი მოსაზრება:

„კინო სანახაობაა, გართობა და ფუფუნება, აი, როცა ავაშენებთ ქვეყანას – კინოსაც მივხედავთ. ახლა არ გვეკინოება“.

აი, ასეთი იდეური პლატფორმა შეიმუშავეს ჩვენმა მთავრობებმა უკვე 25 წელია და ნაბიჯს არ დგამენ უკან. თვითონ იცვლებიან, ერთმანეთს კი ანდერძად უტოვებენ, ქართული კინო არ გაახაროთ, მასზე ფული არ დახარჯოთ! აი ერთადერთი, რაშიც ყველა მთავრობა ერთმანეთს ეთანხმება.

ეს დანაშაულებრივი იდიოტიზმი უნდა დამთავრდეს.

სახელმწიფო ვალდებულია, ვიმეორებ, ვალდებულია, აღადგინოს ქართული კინოწარმოება, რადგან მის გარეშე ქვეყანა ვერ შენდება.

ვერ შენდება და მორჩა.

ამაში უკვე ყველა დარწმუნდა.

სხვათა შორის, ნაცებმა კარგად იციან ეს, ამიტომ აფინანსებენ გაუთავებელ სერიალებს და ამით ხალხში ნერგავენ საკუთარ იდეოლოგიას, აზროვნებას, განწყობებს, იციან, რომ შეწყვეტენ თუ არა ფილმების გადაღებას, თვითონაც გათავდებიან.

სახელმწიფო ვალდებულია, აღადგინოს ქართული კინოწარმოება არა როგორც წყალობა მშიერი კინემატოგრაფისტების მიმართ, არამედ, როგორც აუცილებლობა, რომელიც დადგა ჩვენი სახელმწიფოსა და მთავრობის წინაშე.

ჩვენი საზოგადოება ფანტომურ ტკივილებს განიცდის ქართული კინოს გარეშე, კინო ხომ ამ 110 წლის განმავლობაში ჩვენი ეროვნული საქმე გახდა, ჩვენი სულიერების გამომხატველი, ჩვენი ერთგული მეგობარი და თანამესაუბრე, ჩვენი დამაწყნარებელი. ქართველ კაცს აღმოაჩნდა კინოს გენეტიკური ტალანტი, იბადებიან და იბადებიან ნიჭიერი რეჟისორები და ველარ და ველარ ვითარდებიან, მათი თავი არა აქვს სახელმწიფოს. წადით და კინოს გადასაღები ფული თვითონ იშოვეთო, ამით რეჟისორს დამოკიდებულს ხდიან ვილაც-ვილაცებზე, უკვე მაგრად მომრავლებულებზე, რომლებსაც კინოში მარტო ხეირი უნდათ, ამით კვდება მთავარი, შემოქმედება. თუ ხელოვან ადამიანს არ გავათავისუფლებთ ასეთი წნეხისგან, ხელოვნება ვერ შეიქმნება. თუ ფილმი არ შედგა, როგორც ხელოვნების, ზნეობრიობისა და ნიჭიერების გამოვლინება, ის ფულიც დაკარგულია და დროც.

ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ ამჯერად აღარ შეგაწუხებთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ იმედი ჩაგვესახა, იმედი ქართული კინოხელოვნების აღორძინების.

# დავით ნემსაძემ რუსთაველის თეატრს დეზინფორმაცია გაუვრცელა

რუსთაველის თეატრი

მას შემდეგ, რაც დავით ნემსაძემ თავისუფალი თეატრის მსახიობი მაია დობორჯგინიძე თავდაცვის სამინისტროში მუშაობაში „ამხილა“, ახლა რუსთაველის თეატრის ფართის გაქირავებაზე გადაიღო საგანგებო ვიდეო.

რა თქმა უნდა, დავით ნემსაძემ ორივე შემთხვევაში დეზინფორმაცია გაავრცელა, რადგან არც მაია დობორჯგინიძე მუშაობს თავდაცვის სამინისტროში და არც რუსთაველის თეატრი აქირავებს ფართს. ფართი თეატრის გვერდით მდებარე შენობაში ქირავდება.

**ლევან ხურცია, რუსთაველის თეატრის მსახიობი:**

– საწყენი და საშინელება ისაა, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, საჯაროდ, არაობიექტურად, გადაუმოწმებელი ინფორმაციით, ცილი დასწამოს მეორე ადამიანს და ამაზე არანაირი სანქცია არ არსებობს!

სიტყვის თავისუფლება, რა თქმა უნდა, აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში, მაგრამ არა ასეთი ფორმით, თუ ადამიანის მდგომარეობას, კომპანიის, სახელმწიფო დაწესებულების, კულტურული ცენტრის და ა.შ. მორალური და ფსიქოლოგიური ზიანი, რაც ხშირ შემთხვევაში ფიზიკურ ზიანზე მეტად დამანგრეველია, ადგება არაობიექტური ინფორმაციის გავრცელების გამო, გარკვეულ ადმინისტრაციულ სანქციებს უნდა ითვალისწინებდეს.

პ.ს. იმ იდეალებისგან ძალიან შორს ვართ, რასაც ერთმანეთის პატივისცემა და გვერდით დგომა ჰქვია ერთი ქვეყნის შვილებს შორის. მერე გვიკვირს, სხვა რატომ არ გვაფასებს, ჩვენ კი ერთმანეთის დაფასება და გაფრთხილება ვერ ვისწავლეთ, ქართველებო.

# ნოდიკო ტატიშვილი ახალ სიმღერას წერს



მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი ახალ სიმღერას წერს. მუშაობა „ბრავო რექორდსში“ მიმდინარეობს.

ნოდიკო ბენდ „ფაიფთან“ მუშაობს. სიმღერის სახელწოდებაა „მე და შენ“, რომლის მუსიკისა და ტექსტის ავტორი მუსიკოსი დათო ევგენიძეა.

ნოდიკო ახალ სიმღერაზე ვიდეოკლიპის გადაღებას ძალიან მალე გეგმავს, რომლის პრეზენტაციაც ზაფხულში შედგება.

# ლიკა ყაზბეგს იდეა მოჰპარეს



ლიკა ყაზბეგს თავისი ცნობილი იდეა „წარმატებული ქალი პოდიუმზე“ მოჰპარეს. 23 აპრილს, საავტორო უფლებების დაცვის დღეს, მისმა კოლეგა დიზაინერმა, რომლის საჯაროდ დასახელება არ სურს, სწორედ იგივე პროექტი განახორციელა, რასაც ლიკა წლებია, ატარებს:

– კიდევ ერთი კურიოზი ჩემი მხიარული ცხოვრებიდან!

იდეების მოპარვა, პლაგიატობა, სხვისი ნააზრევის, ნაშრომის მითვისება საქართველოში არავის უკვირს. იმდენი იდეა წაუღიათ ჩემგან, მეგონა, იმუნიტეტი გამომიმუშავდებოდა და რეაქცია აღარ მექნებოდა, მაგრამ შევცდი: ღალატზე, ფარისევლობაზე, უნამუსობაზე იმუნიტეტის გამომუშავება არ არსებობს.

იდეა, რომელშიც ყველაზე მეტი სიყვარული ჩავდე, რომლითაც ვამაყობდი, რომელიც იყო ჩემი ჰაერი, ყველაფერი... სრული კოპირებით განახორციელეს! და ეს მოხდა 23 აპრილს, საავტორო უფლებების დაცვის დღეს!

რა საინტერესოა ცხოვრება.

# ვაკაჭი: „თუ სვეცკი პრეზიდენტი გინდოდათ, ხანშიშესული და თანაც ქალი, ნანი ბრეგვაძე აგერჩიათ“



იუმორისტი ვახტანგ ხიდაშელი, იგივე ვაკაჭი, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მეტყველებას უწუნებს და მის ადგილზე მომღერალ ნანი ბრეგვაძეს მოიაზრებს:

– თუ სვეცკი პრეზიდენტი გინდოდათ, ხანშიშესული და თანაც ქალი, ნანი ბრეგვაძე აგერჩიათ, გემოვნებიანიცაა და ტანზეც დგას დღემდე, შემოეთავაზებინათ. ქალი მღერის მაინც. ეს ვერც მეტყველებს.

# სამგლოვიარო განცხადებები



სრულიად აფხაზეთი, ძირძველი სამურზაყანო, დამწუხრებული უზარაშვილებისა და მანიების გვარის წარმომადგენლობა დიდი გულისტკივილით იუწყებიან მაღალი რანგის იურისტის, ქართულ-აფხაზური ოჯახის ღირსეული შთამომავლის, ქალბატონი

**ალიადა რაჟდენის ასულ უზარაშვილი-მანიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ უახლოეს ნათესაობას.

ქალბატონი ალიადა იყო სათნო, კეთილი, ლამაზი, სრულყოფილებისა და მშვენიერების განსახიერება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უწმინდესი სული!

*აფხაზეთის ინტელიგენციისა და ნათესავთა სახელით,*

*რაჟდენ ქარდავა*

გალის რაიონის ინტელიგენცია, ქარდავების გვარის წარმომადგენლობა, ნათესავ-მეგობრები დიდი მწუხარებით იუწყებიან ულამაზესი პიროვნების, დიდებული დედისა და მეუღლის, ქალბატონი

**დონა რადიონის ასულ ჯგერენაია-ქარდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ქალბატონი დონა იყო მაღალი რანგის დასტაქარი, სრულყოფილების განსახიერება, სათნო დედისა და ღირსეულ ქალბატონთა პლეადის მშვენება.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სპეტაკ სულს!

*ქარდავების სახელით, რაჟდენ ქარდავა*

გალის ყოფილი მრავალდარგოვანი პროფტექსასწავლებლის პედკოლექტივი სამძიმარს უცხადებს აკოტ იზორიას საყვარელი მეუღლის გარდაცვალების გამო.

*რაჟდენ ქარდავა, გოგი მესხია, ლივტერ კვატანია*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.6984

ევრო — 3.0246

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4912

100 რუსული რუბლი — 4.2125

## ამინდის პროგნოზი 26 აპრილისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

16 აპრილიდან

მარკ ტვენი

პრინცი და მაწანწალა



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი II



ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV



ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ თქვენ ყველაფერს ასწრებთ და ყველაფერს ოპტიმისტურად უყურებთ?

– უბრალოდ, არავის ვეკამათები.

– კი მაგრამ, ეგ ხომ შეუძლებელია!

– რახან შეუძლებელია, იყოს შეუძლებელი.

•••

მამა შვილს ეუბნება:

– თუ შეურაცხყოფას გაყენებენ, გამცირებენ, აიღე და სიფათში ნიჩაბი სთხლიშე!

– კი მაგრამ, მამიკო, მე ხომ გოგო ვარ!

– შენც ვარდისფერი აიღე!

•••

მასწავლებელი გაკვეთილზე გიგის ეკითხება:

– აბა, გიგი, მიპასუხე, მართალია, რომ მდიდრები ღარიბებს ეხმარებიან?

– რა თქმა უნდა, ეხმარებიან.

– აბა, მაგალითი მომიყვანე!

– ამასწინათ, როდესაც მაწანწალა გივიმ მამაჩემის ახლთახალ ჯიპზე დააწერა 'გარეწარი“, მამამ მკურნალობის ხარჯები სრულად აუნაზღაურა.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა არის იშვიათი იღბლიანობა?

– რა და, როდესაც თივის ზვინზე ზიხარ და ამ დროს საჯდომში შეგერჭობა, ნემსი, რომელსაც ოდესღაც იქ ეძებდი.

•••

სამზარეულოში მყოფი ქმარი ცოლს გასძახებს:

– ძვირფასო, ობიანი ყველი გიყვარს?

– ძალიან!

– მაშინ ძეხვიც მოგეწონება...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორე ეკითხება:

– როდისმე მეძავი თუ გამოგიძახია?

– კი, ერთხელ...

– მერე?

– დავჯექით, ვისაუბრეთ... გავიხსენეთ, თუ როგორ დავშორდით ერთმანეთს ორი წლის წინ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლია უკლებამ საქართველოში დაღუპულ ბავშვებს ნახატი მიუძღვნა



მხატვარმა ლია უკლებამ, რომელიც მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც თვითმკვლელი ღვთისმშობელი დახატა, ამჯერად მორიგი ხმაურიანი ნამუშევარი საქართველოში გარდაცვლილ ბავშვებს მიუძღვნა და მათი სიკვდილის სპონსორების ლოგოებიც მიახატა:

– როცა ტრაგედია ხდება, ვმუნჯდები, სიტყვები არადამაჯერებელი მიხდება და ვხატავ. კარგად თუ ცუდად, მნიშვნელობა არ აქვს. ეს ჩვენი მკვდარი ბავშვები არიან. მათი სიკვდილის სპონსორების ლოგოებიც იქვე. რა დროს ხატვაა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ხოსეპ გვარდიოლა: „ჯერ ჩემპიონები არ ვართ“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ იუნაიტედის დამარცხების შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდი ჯერ ჩემპიონი არ არის და წინ კიდევ 3 თამაშია. გვარდიოლას აზრით, მანჩესტერ იუნაიტედის დამარცხება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ საჩემპიონო ბრძოლა არ დასრულებულა:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეს შეხვედრა მოვიგეთ და ამ გამარჯვებით დიდი ნაბიჯი გადავდგით ჩემპიონობისკენ, მაგრამ წინ კიდევ სამი შეხვედრაა და ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ. სანამ ოფიციალურად ჩემპიონები არ გავხდებით, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

## იურგენ კლოპი: „ბარსელონასთან ფავორიტი არავინ არის“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ბარსელონასთან შეხვედრებზე ისაუბრა და თქვა, რომ კატალონიურ გუნდთან არც ერთი გუნდი არ არის ფავორიტი.

კლოპი მოუთმენლად ელის ამ მატჩებს, რადგან მის გუნდს ბარსელონის წინააღმდეგ ოფიციალურ შეხვედრაში არასოდეს უთამაშია.

– ბარსელონასთან შეხვედრა ჩემთვის დიდი გამოწვევაა და მინდა, რომ მატჩის დღე მალე მოვიდეს. ჩვენ ფავორიტები არ ვართ და ბარსელონის წინააღმდეგ ვერავის უწოდებ ფავორიტს. ლივერპულისთვის ეს დიდი გამოცდა იქნება, – განაცხადა იურგენ კლოპმა.

პირველი შეხვედრა ბარსელონასთან 1 მაისს გაიმართება.

## მალკომით იტალიური გუნდები დაინტერესდნენ



ბარსელონის ბრაზილიელ შემტევ მალკომს იტალიაში მსურველები გამოუჩნდნენ და მისი შეძენა რამდენიმე იტალიურ გრანდს სურს.

ერთ-ერთი რეალური კანდიდატი ინტერია, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 30 მილიონი გადაიხადოს. ინტერის გარდა, მალკომით ლაციოც არის დაინტერესებული, მაგრამ ეს ვარიანტი ნაკლებად რეალურია.

თვითონ მალკომმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბარსელონის დატოვებას არ აპირებს.

## როი კინმა პოლ პოგბა გააკრიტიკა

მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა კაპიტანმა როი კინმა, რომელიც ამჟამად ექსპერტად მუშაობს ტელევიზიაში, განაცხადა, რომ მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა პოლ პოგბაა.

კინის აზრით, პოგბა საკმარისად არ ეხმარება თანაგუნდელებს და ამის გამო მანჩესტერს გუნდური თამაში არ გამოსდის:

– პოგბა ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მისი არც ერთი სიტყვის არ მჯერა. თუ მას სურს გუნდის დახმარება, მაშინ ის მოედანზე ასე არ უნდა მოქმედებდეს. ის საკმარისად არ ეხმარება თავის თანაგუნდელებს და ეს მანჩესტერს პრობლემებს უქმნის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მე-12 საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 2. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე; 3. აფრიკის უდაბნოდან მონაბერი ცხელი ქარი; 4. ქართული ზღაპრების პერსონაჟი ბოროტი არსება; 5. იარაღის საწყობის, არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 8. კორიდის მთავარი მონაწილე; 12. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 13. იაპონელი კინორეჟისორი; 14. მთიანეთი ევროპაში; 16. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 20. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი.

**თარაზულად**: 6. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 7. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 8. დამჟავებული ბოსტნეული; 9. ერისთავის პიესა; 10. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 11. მცირე ამპლიტუდის რხევები; 15. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 17. კუბის დედაქალაქი; 19. აეროპორტი კიევში; 21. მოსავლის ამღები კომბაინის წინა სამკელი ნაწილი; 22. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 23. ჩინელი ფილოსოფოსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

